# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 19 დეკემბერი, 2013 წელი.

№245 (7373)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბოჭდვური სიფცვაა, ფცუილებით და ჭორებით ბუტთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## გულბაათ რცხილაძე: ალარ არის მავნე ხელისუფლება, მაგრამ ახალს შეგნებულიც კი არა აქვს ისლამიზმის საფრთხე



3

## „...შაბაშ საქმე შენგან ქმნილი“

ერთი პირობა ვიფიქრე, იმ ღირსეული პარლამენტარის ნამოქმედარს, რაინდული საქციელი ხომ არ ვუწოდო-მეთქი, მაგრამ მაშინვე უარვყავი ეს ფიქრი. საუკუნის წინათ, ამას მართლაც რაინდობად ჩათვლიდნენ, მაგრამ დღეს ისეა გაუფასურებული და წაბილწული ეს წოდება, რომ ჩვენს „გულის მომფხანს“ ამას ვერ ვკადრებ. ამიტომ, უბრალოდ და ქართულად ვიტყვი: ის არის ნამდვილი კაცი, რისი დეფიციტიც სრულიად აშკარაა დღევანდელ საქართველოში.

4

## დასავლეთი საკუთარი მომავლის

6

## ქართველი ექსმოხელე იარაღის უკანონო ვაჭრობაშია ეჭვმიტანილი

8

## დიდი ჭაბუა ამირეჯიბის ხსოვნას

წავიდა ჩვენგან ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი მწერალი, დიდი მამულიშვილი და საზოგადო მოღვაწე ჭაბუა ამირეჯიბი – ბერი დავითი – და თავისი გარდაცვალებით დააობლა სრულიად საქართველო.

მახსოვს, რა ცრემლნარევი სიხარულით მიიღო ჭაბუა ამირეჯიბმა ჩვენი წინადადება, არჩეულიყო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საპატიო აკადემიკოსად – როგორებიც არიან დღეს ჩვენი უწმინდესი და უნეტარესი კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, აგრეთვე მსოფლიო პატრიარქი – მისი ყოვლად უწმიდესობა ბართოლომეოს I და ზოგი სხვა გამოჩენილი მოღვაწე, მათ შორის – ჩვენი ბრწყინვალე მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილი; ამათი წინამორბედნი ჩვენს ეროვნულ აკადემიაში იყვნენ დიდი გალაკტიონი და გოგლა ლეონიძე, ირაკლი აბაშიძე, ანა კალანდაძე და მუხრან მაჭავარიანი... ეს ხომ ჩვენი ქვეყნის მარადიული საგანძურია!

წავიდა ჩვენგან დიდი ჭაბუა ამირეჯიბი და დღეს მთელი ჩვენი ქვეყანა გლოვობს მის გარდაცვალებას.

აკადემიკოსი
თამაზ გამყრელიძე,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული
აკადემიის საპატიო პრეზიდენტი

## როგორ გახდნენ მილიონერები პარლამენტში ცალ-ცალი კალოშით მოსულები

7

## რა კავშირი აქვს მერაბიშვილის განცხადებას ქვანიას საქმის გამოძიებასთან?

9

## რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

◎ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

## ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲛᲖᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ, ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲝᲡ ᲡᲐᲢᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲝ ᲓᲔᲠᲔᲤᲜᲘᲡ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲐ

**ᲐᲛᲘᲡ** შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა შავი ზღვის საპარლამენტო ასამბლეის 42-ე სესიაზე განაცხადა , რომელსაც საქართველო, როგორც თავმჯდომარე ქვეყანა მასპინძლობს.

ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, საქართველო გააუმჯობესებს სატრანსპორტო გარემოს, ითანამშრომლებს ეკოლოგიური უსაფრთხოების სფეროში, იქნება ენერგეტიკის მწარმოებელიც და გამტარიც, აგრეთვე ხელს შეუწყობს სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავებას წევრ ქვეყნებს შორის.

— ჩვენთვის დიდი პატივია, რომ საქართველო შავი ზღვის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის თავმჯდომარე ქვეყანაა და საპარლამენტო ასამბლეის 42-ე სესიას მასპინძლობს. საქართველოსთვის მეტად მნიშვნელოვანი და საინტერესოა ამ ორგანიზაციაში გაწევრიანებულ ქვეყნებთან თანამშრომლობა, რადგან ეს ორგანიზაცია თითქმის სრულად მოიცავს ჩვენს გეოპოლიტიკურ არეალს.

პირველ რიგში, მინდა, აღვნიშნო, რომ, საბედნიეროდ, ამ ორგანიზაციამ დროის გამოცდას გაუძლო და, მიუხედავად იმისა, რომ წევრ სახელმწიფოებს სხვადასხვა მიმართულებით აქვთ პრობლემები, ამ ორგანიზაციის ფარგლებში კვლავ ინტენსიური და ნაყოფიერი თანამშრომლობა მიმდინარეობს ეკონომიკურ, ინფრასტრუქტურულ და საფინანსო სფეროებში, — განაცხადა ღარიბაშვილმა.

მისივე განმარტებით, მნიშვნელოვანია, გაგრძელდეს და მაქსიმალურად გაღრმავდეს ეს თანამშრომლობა და ურთიერთობები ორგანიზაციის წევრ ქვეყნებთან.

თბილისში შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის საპარლამენტო თანამშრომლობის რიგით 42-ე პლენარული სესია გაიხსნა. საპარლამენტო თანამშრომლობის პრეზიდენტის რანგში საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა გახსნა.

დავით უსუფაშვილმა სიტყვით გამოსვლისას ხაზგასმით აღნიშნა, რომ თავის დროზე, შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია შეიქმნა შავი ზღვის რეგიონის ქვეყნების მშვიდობიანი, სტაბილური და უსაფრთხო განვითარებისათვის, რაშიც თავისი წვლილი შეაქვთ ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების ეროვნულ პარლამენტებს.

მისივე თქმით, საქართველოს პარლამენტი ამაყია იმით, რომ ბოლო ექვსი თვის განმავლობაში შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის საპარლამენტო ასამბლეას ხელმძღვანელობდა და მის წარმატებულ საქმიანობაში გარკვეული წვლილი შეიტანა.

## ᲨᲐᲚᲕᲐ ᲤᲘᲤᲘᲐ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲡᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲡ ᲨᲔᲮᲕᲓᲐ

**ᲡᲝᲤᲚᲘᲡ** მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, შეხვედრას, რომელიც საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ორგანიზებით გაიმართა, ადგილობრივი და საერთაშორისო კომპანიების, სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სოფლის მეურნეობის დარგში მომუშავე ასოციაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

სამუშაო შეხვედრის მიზანს, კერძო და საჯარო სექტორებს შორის ეფექტური თანამშრომლობის გაღრმავება წარმოადგენდა.

შალვა ფიფიამ კომპანიების წარმომადგენლებს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაწეული სამუშაოების შესახებ ინფორმაცია მიაწოდა.

მინისტრმა აღნიშნა, რომ სოფლის მეურნეობის განვითარებას დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ეკონომიკის ზრდისა და რეგიონული განვითარებისთვის.

შეხვედრაზე მინისტრმა სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2014 წლის ძირითად პრიორიტეტებზე და დაგეგმილ პროექტებზეც ისაუბრა.

— 2013 წელს არაერთი მნიშვნელოვანი და წარმატებული პროექტი განხორციელდა, მათ შორის „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი“, რომელიც მომავალ წელს კვლავ გაგრძელდება. ასევე დაგეგმილია მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების პროექტიც, რომლის შესახებ დეტალური ინფორმაცია ახლო მომავალში საჯარო გახდება. მომავალ წელს, კვლავ განხორციელდება საირიგაციო და სადრენაჟე სისტემების სარეაბილიტაციო სამუშაოებიც, — განაცხადა შალვა ფიფიამ.

## ᲛᲝᲯᲐᲓᲝᲔᲑᲣᲚᲘ ᲢᲔᲜᲓᲔᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲘᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲑᲣᲡᲔᲑᲘ

„**ᲛᲔᲠᲘᲘᲡ** მიერ ავტობუსების შესყიდვისთვის გამოცხადებული ტენდერი კითხვებს იწვევს და მისი შედეგები უნდა გაუქმდეს“, — ამის შესახებ თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ ზაზა გაბუნიამ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა. ტენდერში გამარჯვებული კომპანია Xiamen Golden Dragon Bus Co-ის დისკვალიფიკაცია აჩენს კითხვებს. განსაკუთრებით იმიტომ, რომ დისკვალიფიკაციის მოტივები არადამაჯერებელია როგორც ჩვენთვის, ასევე თავად კომპანიის წარმომადგენლობისთვის.

მიმაჩნია, რომ ჩატარებული ტენდერის შედეგები უნდა გაუქმდეს და ჩატარდეს ხელახალი ტენდერი, სადაც გამჭვირვალეობის უზრუნველსაყოფად დამკვირვებლის რანგში მონაწილეობა არასამთავრობო სექტორმაც უნდა მიიღოს, — განმარტა ზაზა გაბუნიამ.

თბილისის მერიის მიერ გამოცხადებულ ტენდერში, რომელიც 100 ახალი ავტობუსის შესყიდვას შეეხება, ხუთმა კომპანიამ მიიღო მონაწილობა. Xiamen Golden Dragon Bus Co-მა ყველაზე დაბალი ფასი წარადგინა და გაიმარჯვა კიდეც, თუმცა, მერიამ ჩინურ კომპანიას დისკვალიფიკაცია მისცა და განმარტა, რომ შემოთავაზებული მოდელი არ აკმაყოფილებდა ტექნიკურ და ხარისხობრივ მოთხოვნებს.

ᲘᲜᲢᲔᲠᲞᲠᲔᲡᲘ

◎ ᲔᲞᲘᲢᲐᲤᲘᲐ

# ᲭᲐᲑᲣᲐ ᲐᲛᲘᲠᲔᲯᲘᲑᲘ — ᲑᲔᲠᲘ ᲓᲐᲕᲘᲗᲘ

2013 **ᲬᲚᲘᲡ** 13 დეკემბერს გარდაიცვალა დიდი ქართველი მწერალი და მოაზროვნე, XX საუკუნის ქართული პროზის კლასიკოსი **ᲭᲐᲑᲣᲐ (ᲛᲖᲔᲭᲐᲑᲣᲙ) ᲘᲠᲐᲙᲚᲘᲡ ᲫᲔ ᲐᲛᲘᲠᲔᲯᲘᲑᲘ — ᲑᲔᲠᲘ ᲓᲐᲕᲘᲗᲘ**.

ზეციური საქართველოს ბინადარი გახდა სამშობლო ქვეყნის ჭეშმარიტი მოზარე და ჭირისუფალი.

ჭაბუა ამირეჯიბის ცხოვრება სამშობლოს უებრო მსახურების ერთი უბადლო მაგალითია, სამშობლოსი, რომელსაც შესწირა ყველაფერი — საკუთარი ახალგაზრდობა, ოცნებები და ზმანებანი, დაუფიქრებლად შესწირა გმირი ვაჟიშვილი, რადგანაც იცოდა: ერთადერთი ჭეშმარიტება, ყველაზე დიდი და ყოვლისმომცველი ჭეშმარიტება სამშობლოა — სულზე უტკბესი და უნეტარესი ჭეშმარიტება და მხოლოდ მისთვის ღირს სიცოცხლეცა და სიკვდილიც.

ბატონი ჭაბუა ჭეშმარიტად ამართლებდა ამირეჯიბთა საგვარეულო გერბზე გამოსახულ გოლგოთაზე აღმართულ ჯვარს — სიმბოლოს რომ წარმოადგენს სამშობლოსათვის, სარწმუნოებისათვის მოწამებრივი თავგანწირვისა...



ამ თავგანწირვის საუცხოო ნიმუშია ჭაბუა ამირეჯიბის სწორუპოვარი პროზა, რომელსაც მკითხველს მასშტაბურობითა და, შეიძლება ითქვას, ბიბლიური სიბრძნით ხიბლავს...

ჭაბუა ამირეჯიბი დაიბადა 1921 წლის 18 ნოემბერს თბილისში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლობდა ამიერკავკასიის ელექტროტექნიკუმის რადიოფაკულტეტზე და მიიღო სამხედრო რადიოტექნიკოსის წოდება.

1938 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტად. 1941 წლის 23 ივნისს ჭაბუა ამირეჯიბი მობილიზაციით გაიწვიეს არმიის რიგებში. 1942 წელს დაბრუნდა სამშობლოში და განაგრძო სწავლა. ამ დროისათვის შეიქმნა არალეგალური ანტისაბჭოთა ორგანიზაცია „თეთრი გიორგი“, რომლის ერთ-ერთი დამაარსებელიც ბატონი ჭაბუა იყო. 1943 წელს იგი დაეპატიმრეს შეიარაღებული აჯანყების მზადების ბრალდებით და მიუსაჯეს 25 წლით პატიმრობა. სასჯელი რამდენჯერმე შეუცვალეს, ორჯერ დახვრეტაც კი ჰქონდა მისჯილი. საერთო ჯამში მისმა სასჯელმა 83 წელი შეადგინა. პატიმრობის დროს მონაწილეობდა ყარაგანდისა და ტაიმირის პოლიტპატიმართა აჯანყებებში. თითქმის ორი ათეული წელი გაატარა ყარაგანდის, კოლიმის, მორდოვეთის, ტაიმირის ნახევარკუნძულის, აღმოსავლეთ ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის ბანაკებში. იყო ტყის მჭრელი, ჩრდილოეთ ოსეთის სატყეო კომბინატის დამაარსებელი და დირექტორი, ბელორუსიის სატყეო მრეწველობის სამინისტროს ტყის გადამმუშავებელი კომბინატის დამაარსებელი და დირექტორი...

ჭაბუა ამირეჯიბი გადასახლებიდან 1959 წელს დაბრუნდა სამშობლოში და აქტიურად ჩაება საზოგადოებრივ საქმიანობაში. სხვადასხვა დროს იგი იყო საქართველო-აშშ ერთობლივი საწარმოს „ამსაქფილმის“ დამაარსებელი და დირექტორი, ალმანახ „კინოს“ დამაარსებელი და დირექტორი, საქართველოს სახკინოს სარეკლამო საინფორმაციო ბიუროს დამაარსებელი და დირექტორი, კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მეორე გაერთიანების დირექტორი, კინოსტუდია „მემატიანეს“ დირექტორი, საქართველოს სახელმწიფო საბჭოს, შემდეგ კი პარლამენტის წევრი, საქართველოს თავდაცვის ფონდის თავმჯდომარე, ქართულ სულიერ ფასეულობათა დაცვის ასოციაცია „ივერიის“ და გაზეთ „ახალი ივერიის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და გამგეობის თავმჯდომარე, ქართული პენ-ცენტრის პრეზიდენტი...

სადაც კი იმუშავა ამ დიდმა მწერალმა და ერისკაცმა, ყველგან ღრმა კვალი გაავლო, ყველაფერს თავისი ტვიფარი დაამჩნია პროფესიონალიზმისა, სისპეტაკისა, კეთილშობილებისა და სათნოებისა...

ჭაბუა ამირეჯიბის საამწერლო დებიუტი 1960 წელს შედგა, როდესაც ჟურნალ „მნათობში“ გამოქვეყნდა მისი პირველი მოთხრობა „რატომ არ დამაცადე“. ასე დაიწყო დიდი შემოქმედის ლიტერატურული ცხოვრება, რომელმაც ნახევარ საუკუნეზე მეტი გასტანა და მთელ მსოფლიოს კიდევ ერთხელ შეახსენა ქართული გენის ნიჭიერებისა და უკვდავების შესახებ.

ჭაბუა ამირეჯიბმა არამარტო გაამდიდრა ქართული მწერლობა, არამედ განვითარების ახალ საფეხურზეც აიყვანა. სწორედ ამის დასტურია მარადიული წიგნი-რომანი „დათა თუთაშხია“, საყოველთაო-სახალხო სიყვარული რომ ხვდა წილად. „დათა თუთაშხია“ საგაა ქართველი კაცის ვაჟკაცობის, ჭირთა თმენის ნიჭზე, საქართველოს უკვდავებაზე. ამ მრავალპლანიან, კომპოზიციურად მართლაც რომ დიდოსტატურად შეკრულ რომანში ურთულესი ზნეობრივ-ეთიკური პრობლემატიკაა განხილული. დათა, რომანის მთავარი გმირი, სიკეთისა და სამართლიანობის მარადმღვიძარე რაინდი საკუთარი სულიერი, ზნეობრივი მოთხოვნილებების ხორცშესხმად მიიჩნიეს მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში.

დიდი მოწონება ხვდა წილად მწერლის მეორე რომან „გორა მბორგალს“, უაღრესად რთულსა და ტევად ნაწარმოებს, რომელიც საბრალდებო დასკვნას წარმოადგენს ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ქვეყანაში არსებული ტოტალიტარული რეჟიმებისა. ამ რომანში მწერალმა დიდოსტატურად გვიჩვენა საბჭოთა იმპერიის შემზარავი არსი, გააშიშვლა მისი ნამდვილი სახე...

„დათა თუთაშხია“ და „გორა მბორგალი“ ქართველი ხალხის ზნეკეთილობის, მისი სულიერი სიმტკიცის სიმბოლოდ იქცა და ასე შემოაბიჯა XXI საუკუნეში. დათა და გორა საოცარი ძალით ავსებენ ერთმანეთს და ქართველ ერს სულიერების პრიმატის ქადაგებისკენ მოუწოდებენ. ძლიერი სული, ძლიერი ადამიანები, ძლიერი ერი ქვეყნის განუყოფლობის, მისი ერთობის, გონიერებისა და ქედუხრელობის საფუძველია. ეს ის ტრიადაა, რომელიც ქვეტექსტურად გასდევს ბატონი ჭაბუას მთელ შემოქმედებას.

ბეწვის ხიდზე მავალ სამშობლოს ამ დიდმა შემოქმედმა რომანი „გიორგი ბრწყინვალე“ უძღვნა. და მსუყე საღებავებით დაგვიხატა უბრძნესი მეფის მონოლითური სახე, მეფისა, რომლის გამჭრიახობამ, ჭკუამ და მოქნილობამ თითქმის ერთი საუკუნის განმავლობაში ამოსუნთქვის საშუალება მისცა ქართველობას...

ჭაბუა ამირეჯიბის ცხოვრება ერთი გაბმული მარტვილობაა და, ალბათ, ამიტომაც სიცოცხლის ბოლო წლებში ბერად აღიკვეცა ქართული პროზის დიდოსტატი და მამა დავითად ქცეული გულმდუღარედ ავედრებდა არსთაგამრიგეს ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას.

სამშობლომ საკადრისი პატივი მიაგო თავის დიდ შვილსა და ერისკაცს. ქართული მწერლობის კლასიკოსი დაჯილდოებული იყო ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენით, ღირსების ორდენით, არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრად და თბილისის საპატიო მოქალაქედ, მინიჭებული ჰქონდა საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო, საქართველოს სახელმწიფო (2), სსრკ სახელმწიფო, ილია ჭავჭავაძისა და საბას, საქართველოს მწერალთა კავშირის პრემიები, ქართული პროზის რაინდისა და საქართველოს სახალხო მწერლის წოდებები. მისი ბიოგრაფია შეტანილია კემბრიჯისა და აშშ-ის ბიოგრაფიულ ცნობარებში.

ძნელია, ძალზე რთულია და მტკივნეული ამ დონის შემოქმედთან, ამ დონის მოაზროვნესთან და ერისკაცთან გამოთხოვება და მასზე წარსულ დროში საუბარი. ისღა გვანუგეშებს, რომ ჩვენ მისი თანამედროვენი ვიყავით და მასთან ურთიერთობის ბედნიერება გვქონდა. და რაც მთავარია: იმ მცირედთა შორის, ვისი სახელებითაც შეგვეძლება ასწლეულების შემდეგ თავის მოწონება, უდავოდ საპატიო ადგილს დაიკავებს ჭაბუა ამირეჯიბი და მისი უბადლო შემოქმედებითი მემკვიდრეობა.

**ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲐᲠᲒᲕᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ; ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲦᲐᲠᲘᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ; ᲓᲐᲕᲘᲗᲘ ᲣᲡᲣᲤᲐᲨᲕᲘᲚᲘ; ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ; ᲘᲕᲐᲜᲔ ᲙᲘᲓᲣᲠᲐᲫᲔ; ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲙᲕᲔᲡᲘᲢᲐᲫᲔ; ᲒᲣᲠᲐᲛ ᲝᲛᲘᲨᲐᲠᲘᲐ; ᲛᲐᲜᲐᲜᲐ ᲑᲔᲠᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ; ᲛᲐᲛᲕᲐᲚᲐ ᲒᲝᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ; ᲠᲔᲕᲐᲖ ᲛᲘᲨᲕᲔᲚᲐᲫᲔ; ᲯᲐᲜᲡᲣᲚ ᲩᲐᲠᲙᲕᲘᲐᲜᲘ; ᲚᲐᲨᲐ ᲗᲐᲑᲣᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ; ᲑᲐᲚᲐᲗᲔᲠ ᲐᲠᲐᲑᲣᲚᲘ; ᲗᲐᲛᲐᲖ ᲭᲘᲚᲐᲫᲔ; ᲒᲣᲠᲐᲛ ᲓᲝᲩᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ; ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲫᲐᲪᲐᲠᲐᲨᲕ; ᲓᲐᲕᲘᲗᲘ ᲛᲐᲚᲠᲐᲫᲔ; ᲛᲔᲠᲑᲐ ᲑᲔᲠᲫᲔᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ; ᲒᲣᲠᲐᲛ ᲒᲝᲒᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ; ᲕᲐᲨᲐ ᲐᲖᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ; ᲒᲘᲕᲘ ᲗᲝᲠᲘᲫᲔ; ᲒᲘᲒᲐ ᲑᲐᲗᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ; ᲓᲐᲕᲘᲗ ᲗᲔᲓᲝᲠᲐᲫᲔ; ᲗᲔᲘᲛᲣᲠᲐᲖ ᲚᲐᲜᲩᲐᲕᲐ; ᲯᲔᲛᲐᲚ ᲘᲜᲯᲘᲐ; ᲠᲔᲖᲝ ᲫᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ; ᲒᲣᲠᲐᲛ ᲑᲐᲗᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ; ᲑᲐᲩᲜᲐ ᲑᲠᲔᲒᲕᲐᲫᲔ; ᲡᲝᲡᲝ ᲡᲘᲒᲣᲐ; ᲖᲐᲐᲚ ᲑᲝᲢᲙᲝᲕᲔᲚᲘ; ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲯᲐᲕᲐᲮᲐᲫᲔ; ᲠᲔᲖᲝ ᲐᲛᲐᲨᲣᲙᲔᲚᲘ; ᲑᲔᲡᲘᲙᲘ ᲮᲐᲠᲐᲜᲐᲣᲚᲘ; ᲚᲘᲐ ᲡᲢᲣᲠᲣᲐ; ᲠᲔᲖᲝ ᲩᲮᲔᲘᲫᲔ; ᲔᲚᲓᲐᲠ ᲨᲔᲜᲓᲔᲚᲘᲐ; ᲖᲣᲠᲐᲑ ᲜᲘᲭᲐᲠᲐᲫᲔ; ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲐᲠᲩᲕᲐᲫᲔ; ᲒᲝᲒᲘ ᲫᲐᲗᲣᲠᲐᲫᲔ; ᲓᲐᲚᲘ ᲕᲐᲜᲯᲘᲙᲘᲫᲔ; ᲞᲐᲐᲢᲐ ᲑᲣᲠᲭᲣᲚᲐᲫᲔ; ᲓᲐᲕᲘᲗ ᲨᲔᲛᲝᲛᲥᲛᲔᲓᲘᲚᲘ; ᲒᲘᲕᲘ ᲑᲔᲠᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ; ᲙᲐᲮᲘ ᲙᲐᲕᲨᲐᲫᲔ; ᲛᲔᲠᲑᲐ ᲙᲝᲙᲝᲩᲐᲨᲕᲘᲚᲘ; ᲚᲐᲜᲐ ᲚᲝᲚᲝᲑᲔᲠᲘᲫᲔ; ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲨᲔᲜᲓᲔᲚᲐᲘᲐ; ᲤᲐᲠᲘᲔᲚ ᲭᲐᲜᲢᲣᲠᲘᲐ; ᲑᲐᲓᲠᲘ ᲫᲣᲗᲐᲗᲘᲔᲚᲐᲫᲔ; ᲖᲣᲠᲑᲐᲑ ᲜᲘᲭᲐᲠᲐᲫᲔ; ᲙᲐᲮᲐ ᲪᲐᲑᲐᲫᲔ; ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲓᲐᲕᲘᲗᲐᲘᲐ; ᲛᲐᲠᲘᲙᲐ ᲚᲝᲠᲗᲙᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔ; ᲠᲝᲑᲔᲠᲢ ᲡᲢᲣᲠᲣᲐ; ᲗᲔᲛᲣᲠ ᲩᲮᲔᲘᲫᲔ; ᲒᲣᲠᲐᲛ ᲑᲐᲠᲜᲝᲕᲘ.**

**მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში ჭაბუა ამირეჯიბის დაკრძალვის სამგლოვიარო ცერემონიალს უძღვებოდა საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარე მაყვალა გონაშვილი. სიტყვებით გამოვიდნენ ბიძინა ივანიშვილი, მანანა ბერიკაშვილი, რევაზ მიშველაძე, ლია სტურუა, ლაშა თაბუკაშვილი.**

# რელიგია: თემის გაგრძელება

**ბრიის თუ არა გამოწვევა საქართველოსთვის ისლამთან დაკავშირებული საკითხები და უნდა მივიჩნიოთ თუ არა ის საფრთხედ, ან რამდენად აცნობიერებს ხელისუფლება ამ მიმართულებით არსებულ პრობლემებს? — ამ საკითხებზე სასაუბროდ ვეწვიეთ ევრაზიის ინსტიტუტის ხელმძღვანელს გულბაათ რცხილაძეს:**



## გულბაათ რცხილაძე:

## ახლა არის მავნე ხელისუფლება, მაგრამ ახალს შეგნებულიც კი არა აქვს ისლამიზმის საფრთხე

— რაც ახლო აღმოსავლეთში ხდება, ეს არის ერთი მხრივ, მსოფლიოში ცხოვრების პირობების გაუარესების გამოძახილი. მეორე მხრივ კი, მიმდინარეობს საზოგადოების ისლამიზაციის პროცესი თვითონ ამ არაბულ ქვეყნებში, ნაწილობრივ კი თურქულენოვან ქვეყნებში. შესაბამისად, დაძაბულობამ ძალიან იმატა. მაგრამ ეს არ არის მთლად უმართავი პროცესი. როგორც ვხედავთ, ხდება ისლამური ფაქტორის პოლიტიკური ინსტრუმენტალიზაცია.

**— ვისგან?**

— მართლაც რომ საინტერესოა, ვისგან? თითქოს ამ ისლამურ სამყაროსთან დაპირისპირებული ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან.

**— „თითქოს დაპირისპირებული“?**

— დიახ. ერთი მხრივ, ამერიკისადმი სიძულვილი და ზიზღი დიდია ისლამურ სამყაროში, განსაკუთრებით მასებში. თუმცა, მეორე მხრივ, აშშ-ის ხელისუფლება ინტენსიურად თანამშრომლობს ყველაზე უფრო კონსერვატულ მუსლიმანურ რეჟიმებთან. მაგალითად, საუდის არაბეთთან, სადაც ჯერ კიდევ ბატონობს შარიათის კანონები და ადამიანებს თვალებს თხრიან და ხელებს აჭრიან სხვადასხვა დანაშაულთა გამო. ვაჰაბიტების (რომელიც არის სალაფიტური, ულტრაკონსერვატული მიმდინარეობა ისლამში) მთავარი სპონსორია საუდის არაბეთის რეჟიმი, მეფე და მისი სამეფო კარი. ამ თანამშრომლობის გზით აშშ-სა და არაბეთის ნახევარკუნძულზე მდებარე სახელმწიფოებს (საუდის არაბეთი, ყატარი, ბახრეინი, კუვეიტი) გადააქვთ ნეგატიური მუხტი სხვა რეგიონებში. აი, რაც ხდება ეგვიპტეში, რაც ხდება სირიაში — ეს არის სწორედ ამ პოლიტიკის შედეგი. დააკვირდით, საიდან იკვებებიან ჩვენი ჩრდილოეთით მდებარე კავკასიაში მყოფი ისლამისტები. სწორედ არაბეთის ნახევარკუნძულიდან, რომლის მთავარი დამცველი და უსაფრთხოების გარანტი არის ამერიკის შეერთებული შტატები. ამ ქვეყნებს დაპირისპირება აქვთ ირანთან.

ჩვენ აქვე უნდა განვასხვავოთ ისიც, რომ არაბეთის ნახევარკუნძულის ქვეყნებში გავრცელებულია სალიფიზმი, რომელიც სუნიტური კონფესიის მიმდინარეობაა. ასევე არიან სუნიტები თურქეთში, ხოლო ირანი შიიტური სახელმწიფოა. თურქეთში დღეს ძალიან წინ არის წასული ისლამიზაციის პროცესი, რომელსაც ხელს უწყობს ერდოღანის ხელისუფლება. ერდოღანი თავის მასწავლებლად მიიჩნევს ამერიკაში მცხოვრებ ფერთხულა გიულენს. მას დიდი გავლენა აქვს თურქულ საზოგადოებაზე. ეს არის ერთგვარი მიმდინარეობა, რომელიც მოითხოვს მეტ ისლამიზაციას და თურქეთს განიხილავს მსოფლიო იმამატის ლიდერად. ეს არის დაახლოებით ისეთივე მიზანი, როგორც ხალიფატს აქვს (არაბი ექსტრემისტების მიზანია, იყოს ერთი დიდი მუსლიმანური სახელმწიფო, რომელიც დაიმორჩილებს მთელ მსოფლიოს და მერე ისლამს გაავრცელებს).

**— აშშ-ისა და ირანს შორის არსებული ურთიერთობის ბოლოდროინდელი შერბილება როგორ აისახება ამ პროცესებზე?**

— ეს იმან გამოიწვია, რომ აშშ-მა ვერ შეძლო სირიაში ხელისუფლების ძალადობრივი ცვლა. დაიღვარა უამრავი სისხლი, გაჩანაგდა ქვეყანა. არადა ყველაზე ცივილიზებული სახელმწიფო იყო მთელ მუსლიმურ სამყაროში. აქედან გამომდინარე, ირანზე წნეხი ვერ გაგრძელდებოდა, დასავლეთი იძულებული გახდა გარკვეულ დათმობებზე წასულიყო. თუმცა, არ მგონია, რომ რამე გავლენას მოახდენს მუსლიმურ სამყაროში მიმდინარე პროცესებზე. აშშ ვითომ უპირისპირდება მუსლიმურ სამყაროს, მაგრამ ამავე დროს ის ცდილობს, ისლამური ფაქტორი გამოიყენოს პოლიტიკურ ინსტრუმენტად თავისი გეოპოლიტიკური კონკურენტების წინააღმდეგ.

**— ანუ რუსეთის წინააღმდეგ?**

— დიახ. ამერიკელები ამას ცდილობდნენ ავღანეთის დახმარებით, თუმცა, ეს არ გამოუვიდათ. ახლაც აი, რა ხდება: თვითონ არაბები აკეთებენ ამერიკელების საქმეს, რომელიც ალაგებს ურთიერთობებს ალ-ქაიდას ან თალიბანის წარმომადგენლებთან. ამერიკა, გამომდინარე იქიდან, რომ ის ოკეანის გაღმა მდებარეობს, მიიჩნევს, რომ ისლამიზმი მისთვის უშუალო საფრთხეს არ წარმოადგენს. ამიტომაც ამ ვითარებას ეგუება.

**— ყოველივე ამის გამოძახილია ის, რაც საქართველოში ხდება?**

— რა თქმა უნდა. ისლამისტებს არ აკმაყოფილებთ მხოლოდ ვიღაცის დავალებების შესრულება, მათ აქვთ თავიანთი მიზნები, ფლობენ დიდძალ ფულად სახსრებს და აქტიურობენ ყველა იმ სახელმწიფოში, რომელიც ესაზღვრება მუსლიმურ სამყაროს, მათ შორის საქართველოში.

**— მიზანი რა არის?**

— უპირველესად სურთ, ფეხი მოიკიდონ საქართველოში. ჩვენთან საუკუნეების განმავლობაში ცხოვრობდნენ მუსლიმები: ბორჩალელი ტურკები (ანუ ისინი არც თურქები არიან, არც აზერბაიჯანელები, ქვეეთნოსია) ისინი არიან შიიტები, ისევე როგორც ირანელები. ამ ხალხში დიდი ფული დაიხარჯა წარმატებით და ცდილობენ, გადმოიყვანონ რადიკალურ სუნიტურ მიმდინარეობაზე. სალაფიტების სექტა სერიოზულად მუშაობს და აქ ჩადებულია თურქეთის ინტერესებიც. რაც შეეხება მთიან აჭარას, იქ ისედაც სუნიტები არიან, იქიდან მიჰყავთ ახალგაზრდები თავიანთ ქვეყნებში, უღვივებენ რელიგიურ ინტერესებს. სთავაზობენ ახალგაზრდებს ფულს, მანქანას, სამუშაოს. თბილისშიც მეჩეთებში მრავლად ნახავთ ახალგაზრდებს, რომლებიც გარეგნული იერითაც გამოირჩევიან, რომ არიან სალაფიტები. მოშვებული აქვთ წვერი, ულვაში მოპარსული. მაგალითად, ამას წინათ კახეთის საინფორმაციო ცენტრმა ვიშვიშით გაავრცელა კადრები იმის შესახებ, რომ აჭარიდან სალაფიტი სპორტსმენები ნაკრებში არ წაიყვანეს რელიგიური მოსაზრებების გამო. ალაპარაკეს ეს ახალგაზრდებიც, თუ როგორ უყვართ მათ საქართველო, პატრიოტები არიან, მერე რა, რომ განსხვავებული რწმენა აქვთ.

**— თავისთავად ამ სიტყვებში ცუდი არაფერია, შეიძლება მათ მართლაც უყვართ სამშობლო, ის კუთხე, სადაც დაიბადნენ, გაიზარდნენ?..**

— ვინც იცის სპეცსამსახურების მუშაობის სპეციფიკა, მიხვდება, რომ ისინი დამუშავებულები არიან: ასე უნდა ილაპარაკონ, ასე თქვან. ამას ჰქვია „თაყია“ ანუ თვალთმაქცობა რწმენის სასარგებლოდ. რადგან მათთვის გამორიცხულია პატრიოტული გრძნობები, სახელმწიფო. რადიკალური ისლამის კანონიკით არ არსებობს სამშობლო. მხოლოდ ხარ მუსლიმი ან არა ხარ. თუ შენ პატრიოტული იდეები გამოძრავებს ე. ი. შენ არა ხარ სალიფიტი. ვინც ეს სიღრმეები არ იცის, სწორედ ამით სარგებლობენ ისინი. ე. წ. ლიბერალური პრესაც ამათ მფარველობს და ერთიანი ფრონტით უტევენ მართლმადიდებლობას. ეს არის ბინძური ალიანსი, რომელიც თანაბარი უფლებიანობის პრინციპის დროშის ქვეშ ებრძვის ორთოდოქსულ რწმენას. მათ არ უნდათ, ხალხი მობილიზებული იყოს ერთმორწმუნე რელიგიის გარშემო, უნდათ, რომ არ გვქონდეს სუვერენიტეტი და ერთიანობა. საქართველო საკმაოდ მნიშვნელოვანი პლაცდარმია ყველა მიმართულებით. ისლამისტებს აინტერესებთ ჩრდილო კავკასია, აზერბაიჯანი, ირანი, რომლის შუაგულშიც საქართველოა.

**— ამ ფონზე საინტერესოა მიხეილ სააკაშვილის ქმედება, რომელმაც საქართველოს მოქალაქეობა მიანიჭა თურქეთის მოქალაქეებს მასობრივად.**

— თითქოს 10 ათასი კაცი ბევრს ვერაფერს ცვლის, თუმცა, პატარა საქართველოსთვის პროცენტულად ესეც დიდი ციფრია. ქრისტიანობის პროცენტი დაბლა იწევს, ხოლო მუსლიმებისა — მაღლა.

**— ბატონო გულბაათ, რაზეც თქვენ ზემოთ ისაუბრეთ, ეს არის დაფარული თემა, მაგრამ ხელისგულზე დევს ის, თუ როგორ მომრავლდა მუსლიმთა კაფე-ბარები, რესტორნები, ყიდულობენ მიწებს, დებენ ინვესტიციებს და ა. შ. ანუ ჯერ-ჯერობით ამ ყველაფერს ეკონომიკური ექსპანსიის ელფერი უფრო აქვს, ვიდრე იდეოლოგიური მიზნებისა.**

— ეს არის სისულელე. რა კაფე, რა ჩაიხანა... რატომ უნდა გამიჩნდეს სურვილი ქრისტიან კაცს იქ შესვლის, თუკი არ მიშვებენ. არც შევალ. თუმცა, მარჯანიშვილზე არის თურქული რესტორნები, სადაც შესვლის პრობლემა არავის არა აქვს, პირიქით.

**— აჭარაში მიმდინარე „თურქეთიზაცია“, ესეც არ არის საფრთხე?**

— გაიხსნა თურქული უნივერსიტეტი, ლიცეუმები, სამლოცველოები. ამაზე ნამდვილად უნდა ვილაპარაკოთ. უნდა ვიცოდეთ, რას ასწავლიან იქ, რა იდეოლოგიაზე მიდის საუბარი. ახალგაზრდები გაჰყავთ იქიდან სასწავლებლად, მაგრამ სად მიყავთ, რის შესასწავლად, ამაზე პასუხისმგებელი არავინ არ არის.

**— რამდენად აცნობიერებს ახალი ხელისუფლება ასეთ საფრთხეებს და როგორ მუშაობენ ამ მიმართულებით?**

— ვერ აცნობიერებს და არც არავინ მუშაობს. ძველი ხელისუფლება ამას განგებ აკეთებდა და ის თავად იყო ქართული საზოგადოებისთვის საფრთხე. აღარ არის მავნე ხელისუფლება, მაგრამ ახალს შეგნებული არა აქვს საერთოდ, რა საფრთხის წინაშე დგას ქვეყანა. ორიენტირებულები არიან ევროკავშირზე, არის ცარიელა სიტყვების რახარუხი: ასოცირება, პარაფირება... თურმე ეს არის ჩვენი მიზანი. არა, ბატონებო, ეს არ არის მთავარი, ყველაფერი უკან დაგვრჩება, თუ არ გავაცნობიერეთ რეალური საფრთხე.

**— ანუ ისლამიზმის რეალური საფრთხე.**

— დიახ, სალაფიტური მიმდინარეობა, რომლებმაც ძალიან ბევრი მხარდამჭერები მოიპოვეს ბოლო დროს. ჩვენ ქვეყანას ხელს აძლევს ზომიერი შიიზმი, რადგან მათთან ერთად საუკუნეების განმავლობაში ვცხოვრობდით. ისინი საფრთხეს არ უქმნიან ჩვენს სარწმუნოებასა და ტერიტორიულ მთლიანობას. რაც შეეხება აჭარას, იქაური მუსლიმები სუნიტები არიან. თუკი სალაფიზმმა შეძლო შიიტების გადმობირება, ეს ჩვენთვის ნამდვილად არ იქნება სასურველი ფაქტი.

თურქეთი აჭარაში ამაზე სერიოზულად მუშაობს. თურქეთი არის უშუალოდ ჩვენი მოსაზღვრე დიდი სახელმწიფო, რომელიც არ მალავს თავის ინტერესებს (აი, გავრცელდა დავით ოღლუს სიტყვა, თუ როგორ ჭირდება თურქეთს განავრცოს თავისი გავლენა გარშემო პერიმეტრზე, სადაც ძველი ოსმალეთის იმპერია იყო, ყოველგვარი ომის გარეშე) აქედან გამომდინარე, დიდი სიფრთხილეა საჭირო. თურქეთთან უნდა შევინარჩუნოთ ნორმალური ურთიერთობა, მაგრამ არა იმის ხარჯზე, რომ მან მართოს საქართველოში პროცესები თავის სასარგებლოდ.

**— და რა შეიძლება გაკეთდეს?**

— ჯერ ერთი კონსოლიდაცია უნდა მოხდეს პრობლემური საკითხების გარშემო. ეს არ უნდა იყოს მარტო ჩემი სალაპარაკო. უნდა გაერთიანდეს ხელისუფლება, სამოქალაქო სექტორი და ხალხი და დავინახოთ პრობლემა. გადაწყვეტის გზები ერთობლივი მუშაობით გამოვნახოთ. საქმე ისაა, რომ ჯერ პრობლემასაც კი არ აღიარებენ.

**— საფრთხე რომ არის ჩრდილოკავკასიაში, ესეც არ არის აღიარებული პრობლემა?**

— დიახ, იქ ისლამიზაციის პროცესი კიდევ უფრო ადრე დაიწყო და შეუქცევადი გახდა. არასდროს არ არის პრობლემა, ისლამურ ქვეყნებში იპოვო ცოცხალი ძალა, ექსტრემისტულად განწყობილი ნაწილი, რომელიც გამოგვყვება ყველაზე უფრო რადიკალურ იდეებში. ჩრდილოკავკასიელ ექსტრემისტთა მიზანი არის რუსეთის დასუსტება და მისი რეგიონიდან გაძევება. მაგრამ ეს ასეც რომ მოხდეს, ვინ დარჩება რეგიონში?! დარჩებიან ისევ ისლამისტები. ეს რა საფრთხეს შეუქმნის საქართველოს, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს. თუმცა, ჩვენთან არიან „ცხელი თავები“, რომელთაც ჰგონიათ, რომ თუ რუსეთი დასუსტდება, აყვავდება საქართველო. მაგრამ საქართველო არც მთლიანი იქნება, არც ქრისტიანული და საერთოდ, რა იქნება მის ადგილას, მოკვდავმა კაცმა, არავინ იცის.

**— სომხეთი თუ გადაურჩება მოვლენათა ასეთ განვითარებას?**

— სომხეთს თავისი მყარი კურსი აქვს, ჩამოყალიბებულია თავის საგარეო ორიენტაციაში. იცის, რომ მას რუსეთი უკეთ დაიცავს, ვიდრე ნატო. თანაც სომხეთი არის მონოეთნიკური და ამიტომაც ნაკლები პრობლემები აქვს კონფესიებთან დაკავშირებით. მისი ერთადერთი პრობლემა ის არის, რომ ჩაკეტილია გეოგრაფიულად. ირანთან აქვთ კავშირი და ჩრდილოეთით — საქართველოსთან. რაც შეეხება ისლამიზაციას, ეს იქ არ ხდება, ვინაიდან „მასალა“ არ არის.

**— რაც შეეხება ირანს, წარმოადგენს თუ არა ის საფრთხეს?**

— ნამდვილად არ წარმოადგენს. ის ახორციელებს თავის ინტერესებს და თავის ადგილს იმკვიდრებს რეგიონში. მას არა აქვს რაიმე გლობალისტური პროექტი. ვაჰაბიზმი და სალაფიტები სწორედ გლობალური პროექტია.

**— მაგრამ ამავე დროს ყოველდღიურად ვხედავთ თბილისის ქუჩებში მოსეირნე მუსლიმებს, რომელთაც აქვთ ეკონომიკური ინტერესები, ხელისუფლებაც გვიმტკიცებს, რომ ისინი ინვესტიციებს დებენ...**

— ჯერ ერთი არაფერი ინვესტიცია არ იდება, ეს არის ტყუილი. ვინმეს ქრთამს თუ აძლევენ, ამას ინვესტიციაში ნუ აურევენ. და მეორეც, ასეთ ინვესტიციებს ქვეყნის უსაფრთხოებაზე მაღლა ვერ დავაყენებ. აბა, დამისახლონ არაბული კაპიტალი, საწარმო, სადაც ათასობით ხალხია დასაქმებული? ერთი ესაა, რომ მიწებს ყიდულობენ, რაც კიდევ უფრო საშიში პროექტია. მიწა უნდათ, როგორც ითქვა, ჭრიან ნოყიერ მიწებს და თავის ქვეყანაში გააქვთ. მიაქვთ ხე-ტყე... მოკლედ ჩვენ ვართ ბარბაროსულ დონეზე გაჩანაგებული კოლონია და რა დამოუკიდებლობაზე ვლაპარაკობთ?!

ამიტომაც რაღაც დეპარტამენტი მაინც უნდა შექმნას ხელისუფლებამ, რომელიც ამ პრობლემებზე იმუშავებს. აი, ყაზახეთში სცადეს სიტუაციის არევა ისლამისტებმა და მთავრობამ მყისიერად შექმნა რელიგიებთან და ეთნიკურ უმცირესობებთან ურთიერთობათა დეპარტამენტი.

**— რეინტეგრაციის სამინისტრო ხომ გაქვს?**

— მე ძალიან დიდ პატივს ვცემ ბატონ პაატას, მაგრამ ვინმემ იცის, ის რისი მინისტრია ან რას აკეთებს? ეს არის პრობლემა.

**— სპეცსამსახურებიც არ არიან აზრზე?**

— ძალიან კარგადაც არიან აზრზე, მაგრამ არ მუშაობენ. უფრო ღრმად არ იკვლევენ პრობლემას და არ იაზრებენ...

ესაუბრა
**თეა მოსია**

# „...შაბაშ საქმე შენგან ქმნილი“

**კარგა ხანია**, მეც და ბევრ სხვასაც, უსაშველოდ გვაწუხებს ღირსეული კაცების ნაკლებობა ჩვენს სამშობლოში და უღირსებოთა უსაშველო სიმრავლე. სულ მინდოდა თანამემამულეთა გასაგონად მეყვირა: ვიცი რომ არსებობთ და ვიდრე ჯერ კიდევ არის დრო, ხმა ამოიღეთ, ღირსეულო კაცებო, თორემ თქვენი სიჩუმით გულმოცემულ უღირსებს დარჩებათ ეს ქვეყანა-მეთქი.

მართალია ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე ბლომად ჩანან ღირსეული ადამიანები, მაგრამ ჩვენს დროში კალმითმოუბარ კაცებს სერიოზულად ვინღა უსმენს, ნეტავი!

...და, აი, როგორც იქნა დავინახე და მოვისმინე ღირსეული კაცის სიტყვა და საქმე. მერე სად? პირდაპირ პარლამენტის სხდომათა დარბაზში! იმ კაცისაგან მოველოდი კიდეც ამას, ამდენ ხანს რომ დუმდა, ის მიკვირდა სწორედ.

ჩვენი გაზეთის მკითხველს არ ვაკადრებ იმის განმარტებას, თუ რას ნიშნავს ღირსება და რითი განსხვავდება ღირსეული კაცი უღირსებო კაცისაგან, მაგრამ იმავე დღეს „მაესტროს“ ტელეეთერში გამართული ტელედებატების მონაწილეთა ერთ ნაწილს და ზოგიერთ სხვასაც კი უნდა განვუმარტო ეს ანბანური ჭეშმარიტება.

**ღირსეული კაცი ის არის, ვინც თავის, თავისიანების, სამშობლოს თავმოყვარეობის შემლახველს მყისიერად გასცემს პასუხს, ვინც არასოდეს იტყვის „დიახს“, სადაც „არა“ უნდა ითქვას და არასოდეს იტყვის „არას“, სადაც უნდა ითქვას „დიახ“, ვისთვისაც ძვირფასია არა მარტო საკუთარი, არამედ სხვათა ღირსებაც.**

უღირსებო კაცები „ჰო“-სა და „არა“-ს იმის მიხედვით ამბობენ, „ძლიერთა ამა სოფლისათ“ რომელი პასუხი ესიამოვნებათ, ანდა თვითონ რას გამორჩებიან დასტურისა თუ უარყოფის შემთხვევაში.

ღირსეული კაცობა ძნელია, საერთოდ, განსაკუთრებით — ღირსებადაკარგულ ქვეყანაში. სწორედ ამიტომ მგონია იმ ღირსეული კაცის საქციელი ძალიან მნიშვნელოვანი, რომ მან უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოდან დაანახვა მთელ ერს, თუ როგორ უნდა მოექცე უღირსებო კაცებს.

ვიცი, რა შეფასებასაც მოვიმკი ჩემი ამ ნათქვამით „ძლიერთა ამა სოფლისათაგან“, რომლებიც ღირსებით მაინცდამაინც ვერ დაიკვეხნიან. გულწრფელად უნდა ვთქვა, რომ მათი შეფასებები სულაც არ მანაღვლებს. შედარებით წესიერ კაცებს კი, რომლებიც ასე ამბობენ: **პარლამენტში მუშტი-კრივის გასამართავად კი არ აგვირჩევია ესენი, კანონშემოქმედებას მოველით მათგანო,** — ვუპასუხებ: ჩემო შედარებით წესიერო კაცებო, კანონშემოქმედებით საქმიანობას უკვეთავთ იმას, ვინც შინაგან საქმეთა მინისტრი რომ იყო, მაშინ მთელი ჯარი და სავიაციო ესკადრილია მიუსია, დაბომბა და დაწვა ერთი ოჯახი, სადაც, თურმე, ორი თუ სამი კრიმინალური ავტორიტეტი ცხოვრობდა ცოლშვილთან ერთად, ან იმას, ვინც ტელეეკრანიდან პირზე დუჟმომდგარი მთელ საქართველოს რომ ემუქრებოდა, დედას გიტირებთ, სულს ამოგხდით თქვე ნაძირლებოო; ან, იქნებ, ისინი არიან თქვენი რჩეული კანონმდებლები, გათოკილი ოპოზიციონერი დემონსტრანტები თავსხმა წვიმაში რომ დაყარეს რუსთაველის პროსპექტზე, ხოლო ვინც შემოაკვდათ, მაღაზიის სახურავზე შემოდეს? იქნებ ისინი არიან სანიმუშო კანონმდებლები, ხელფეხშებორკილ დიდ სპორტსმენს, ქართული ჭიდაობის სიამაყეს უმოწყალოდ რომ ურტყეს (ხელფეხშებორკილის ცემა უღირსებო კაცებს შეუძლიათ მხოლოდ!). და მე, რიგითი მოქალაქე ვალდებული ვარ, ტელეეკრანზე ვუცქირო ამ უღირსებო, უთავმოყვარეო სიფათებს, რომელთათვისაც ჭეშმარიტება მხოლოდ ის არის, რასაც შუა ევროპიდან ჩვენთან გზადგამოვლილი ვინმე რიჩარდა ან სტივენა თუ იტყვის, ხოლო დიდი წინაპრების პატივისცემა ნეკროფილიად მიაჩნიათ.

ვინმე უსაშველო ნიჰილისტი, ვისთვისაც სულ ერთია ყველაფერი, რაც მის გარშემო ქვეყანაში ხდება, ჩაიქირქილებს: თუ არ შეგიძლია მაგათი ცქერა, სხვა არხზე გადართე ან სულაც გამორთე ტელევიზორი. მას ასე ვეტყოდი: ჯერ ერთი, მე ჩემი ქვეყნის მოქალაქე ვარ და მევალება სამშობლოს მაჯისცემას თვალყური ვადევნო და, მეორე, სხვა გზა თუ მართლა არა მაქვს და უღირსებო კაცების უღირსი საქციელის ცქერა თუ ვეღარ შევძელი, შეიძლება მართლაც სხვა არხზე გადავრთო, ან სულაც გამოვრთო ტელევიზორი, მაგრამ იმ ღირსეულმა კაცებმა რა ქნან, რომლებიც მათი სამშობლოს გაბახების მოსურნეებთან ერთ დარბაზში სხედან? მშვიდად უცქირონ მათს შეურაცხმყოფელ გრიმასებსა და გამომწვევ ჟესტიკულაციებს? ბევრი უსმენს და უცქერის კიდეც, რადგან გული კი აქვთ, მაგრამ ძალა არ მოსდევთ, ის კი ვისაც ძალაც აქვს და გულიც ერჩის, თუ ამავე დროს ღირსეული კაციც არის, ისევე მოიქცევა, როგორც იმ დღეს ის ღირსეული კაცი მოიქცა საქართველოს პარლამენტში. მის საქციელზე ღირსეულმა კაცებმა ღირსეული კომენტარები გააკეთეს, უღირსებმა კი ერთხელ კიდე გაუსვეს ხაზი თავიანთ უზნეობასა და უმწეობას.

საქართველოს პარლამენტში იმ ღირსეული კაცის საქციელს მყისიერად მოჰყვა ხალხის რეაქცია. დიდი გამოკვლევა არ სჭირდება იმის დადგენას, რომ ჩვენს თანამემამულეთა ოთხმოცდათხუთმეტმა პროცენტმა, რბილად რომ ვთქვა, დადებითად შეაფასა იმ ღირსეული კაცის საქციელი, ხუთმა პროცენტმა კი დაგმო ის, რაც ჩვენ მოგვეწონა.

ხუთი პროცენტი ძალიან ცოტაა და, სხვა ვითარებაში, არც ეღირებოდა ამაზე ყურადღების გამახვილება, მაგრამ ეს სხვა ხუთი პროცენტია, ეს ის უმცირესობაა, რომელსაც ჩვენს საზოგადოებაში უმრავლესობის ბევრი ფუნქცია აქვს მიტაცებული; ბოლოს და ბოლოს, ეს ის ხუთი პროცენტია, რომელსაც საქართველოს პარლამენტში ორმოცი პროცენტი მანდატებისა ხელთ უპყრია, უცხო „დიდი ძიების“ დახმარებით, ცხადია.

სწორედ ამ ხუთი პროცენტის ხელშია ქვეყნის მართვის საკვანძო პოსტები და მთავარი შტურვალიც. წარმოიდგინეთ, ავტობუსში ასი ღირსეული და მამაცი გმირი რომ იჯდეს, თუ საჭე გარეწარ და ჭკუასუსტ მძღოლს უპყრია ხელთ, მაშინ ასეთი მგზავრობა სასიკვდილო ხიფათის შემცველია, მით უფრო, თუ მთის მიხვეულ-მოხვეული გზა გვიძევს წინ. თუ გვინდა კატასტროფა ავიცილოთ თავიდან, ვიდრე ავტობუსი თვალჩაუწვდენელი ხევების თავზე მთის დაკლაკნილ გზას არ შესდგომია, ღირსეულმა კაცებმა საჭე უნდა გამოჰგლიჯონ ხელიდან უღირსებო კაცებს.

**ულონო კაცმა შეიძლება ზუსტად შეაფასოს და დააფასოს ულონიერი კაცის ძალ-ღონე, იქნებ შენატროს კიდეც მას, უნიჭო კაცი შეიძლება ნიჭიერი კაცის თაყვანისმცემელი იყოს, მაგრამ უღირსებო კაცი ვერასოდეს დააფასებს ღირსეულ კაცს, რადგან თვითონ ღირსებაა მისთვის სრულიად მიუწვდომელი და გაუგებარი რამ.** სხვისი ტკივილი ან სიხარული რომ გაიგო, შენც ოდნავ მაინც უნდა გქონდეს განცდილი ან ერთი ან მეორე. ცოტა და ბევრი ღირსების გრძნობა არ არსებობს, ღირსება ან აქვს ადამიანს, ან არა.

ომში სამარცხვინოდ დამარცხებული უღირსებო კაცები შინ დაბრუნებისას გამარჯვებას რომ ზეიმობდნენ და სხვებსაც მოუწოდებდნენ „გულით ეხარათ“ თანამემამულეთა წარმატებით, მათ ნამდვილად ეგონათ, რომ სხვებიც მათნაირები იყვნენ, ვინც მათნაირები არ იყვნენ, ისინი ქვეყნისათვის ავის მოსურნეებად და მტრის აგენტებად შერაცხეს.

უღირსებო კაცები ღირსეული კაცების აზრს ვერ იტანენ. ამიტომ ჩათვალეს განსხვავებული აზრის მქონენი ჩარეცხილებად, მუმიებად, ბნელეთის მოციქულებად.

ღირსეული კაცობა იმიტომაც არის ძნელი ღირსებააყრილ საზოგადოებაში, რომ ნებისმიერი ღირსეული საქციელის ცოდნას ლამის გმირობა სჭირდება, გმირობაზე მეტიც, რადგან უღირსებო ოპონენტებთან ღირსებაზე დავას ბრძოლის ველზე მტერთან იარაღით შერკინება სჯობია, ამის ნათელი ილუსტრაცია იყო იმ ღირსეული კაცის საქციელის განსჯა, რომელიც იმავე დღეს მოაწყო ტელეარხმა „მაესტრომ“. ტელეწამყვანის ხელმარცხნივ ისხდნენ საზოგადოებისათვის კარგად ცნობილი ადამიანები, უფლებადამცველი ნანა კაკაბაძე და გამოჩენილი ფოტოხელოვანი და კულტურის მოღვაწე იური მეჩითოვი. ხელმარჯვნივ ორი ქალი იჯდა, მათი გვარ-სახელებით არ დავინტერესებულვარ, რადგან მათი ჭკუის ხალხი ერთმანეთისაგან შეიძლება მხოლოდ ვარცხნილობით განსხვავდებოდნენ, ამიტომ მათი საერთო სახელი ლეგიონია. კამათის პროცესში ტელეწამყვანმა კიდევ ერთი ლეგიონერი შემოიყვანა ეკრანზე, და, მისი ჭკუით, მარჯვენა ფლანგი გააძლიერა.

ამ ე. წ. კამათის ცქერისას კიდევ ერთხელ დავრწმუნდი და, ალბათ, დარწმუნდნენ სხვებიც, რომ სრული უაზრობაა უღირსებო კაცებთან ღირსებაზე კამათი. მათთვის არ არსებობს ლოგიკა, დასაბუთება და, რაც მთავარია, სიმართლე — ობიექტური ჭეშმარიტება. ამიტომ, რასაც ისინი კამათისას იკადრებენ, იმას ღირსეული კაცები ვერ იზამენ და ფორმალურად გამარჯვება, უბირი საზოგადოების თვალში მაინც, უღირსებოებს დარჩებათ. ასე იყო იმ დღესაც. ნანა კაკაბაძის არგუმენტირებულ მსჯელობაზე მარჯვნივ მჯდომ ერთ ქალს ფრიად საეჭვოდ(!) ეცინებოდა, ხოლო იმ ქალისა და მისი მეწყვილის პიტალო სისულელეზე იური მეჩითოვი უხერხულად იშმუშნებოდა და გაკვირვებული იცქირებოდა აქეთ-იქით. და თუმცა, მათი საწინააღმდეგო პასუხი მზად ჰქონდა, მხოლოდ თავისთვის ჩაილაპარაკებდა ხოლმე, თითქოს გვაგრძნობინებდა, ანბანური ჭეშმარიტება როგორ ვამტკიცო საჯაროდო.

უღირსებო კაცებს უხერხულობის განცდა არ აქვთ, ამიტომ იოლია მათთვის ცხოვრება. უღირსებოს შეაფურთხე თუ გინდა, ბოღმით გული გაუსკდება თუ რა? იმპორტული შამპუნი მაქვს შინ და იმით ჩამოვიბანო, — ფიქრობს. ფურთხის წყლით ჩამორეცხვა რომ არ ხერხდება, ეს არ იცის და არც სჭირდება ამის ცოდნა. ერთადერთი, რითაც შეიძლება უღირსებო კაცი გაანაწყენო, ფულის წყაროს გადაკეტვაა, ხოლო მისი დაოკება მხოლოდ მუშტით არის შესაძლებელი.

მტერი თავის ქვეყნის გამყიდველს ღირსეულ კაცებში არ დაუწყებს ძებნას, უღირსებო კაცების საქმეა ღალატი და ორპირობა. ფული თუ დაანახვე უღირსს, რასაც ეტყვი, იმას იზამს, დედ-მამასა და ცოლშვილსაც გაჰყიდის! აბა, ლგბტ-ს თავგადოდებული დამცველები, საკუთარ შთამომავლობას არ ჰყიდიან, განა? გეიაღლუმებსა და კაცების კაცებთან პროშნა-ჩახუტებას მათი შვილები და შვილიშვილები არ ნახავენ? პედერასტებისა და პედოფილების უფლებების დამცველად თავის გამოდება რომ სამშობლოს ღალატია, უღირსებო კაცებმა არ იციან მხოლოდ.

უცხოეთიდან დაფინანსებული ამდენი არასამთავრობო ორგანიზაცია ღირსეული კაცებისაგან შედგება, ვითომ? მეტი არაა ჩვენი მტერი, ეს ასე არ იყოს! ღირსეული კაცების საქმიანობას დააფინანსებს ფულიანი უცხოელი? ის იმას დააფინანსებს, ვინც მისი ინტერესების გამტარებელი იქნება. ჩემს ქვეყანაში სხვა ქვეყნის ინტერესების გამტარებელი ჩემი ქვეყნის მოღალატე არ არის? ჰოდა, როცა ქვეყანაში ამდენი უღირსებო და მოღალატეა, ღირსეულ კაცებს გაუჭირდებათ ღირსეულად მოქცევა, აბა, რა იქნება.

იმ დღეს ჩვენს პარლამენტში იმ ღირსეული კაცის საქციელმა იმედი ჩაგვისახა იმისა, რომ ჯერ კიდევ არ გადაშენებულან ღირსების მქონე კაცები, უღირსთათვის „ხელის შემქცევნი“. კი, მანამდეც იყო ერთი-ორიოდე კაცი, რომლებიც კაცურად მოექცნენ არაკაცებს, ერთმა პარლამენტის სხდომიდან ე. წ. პრეზიდენტი გააქცია, მაგრამ ეს სხვა იყო მაინც. მან იმ ბობოლა უღირსებო კაცს „გაულაწუნა“ და მთელ ღირსეულ საქართველოს გული მოფხანა. ფხანა, თუმცა, ქეცმა იცის, მაგრამ ჩვენს ქეციან დროში გული მაინც თუ შერჩა კაცს, თუნდაც ქეციანი, ესეც საქმეა.

ერთი პირობა ვიფიქრე, იმ ღირსეული პარლამენტარის ნამოქმედარს, რაინდული საქციელი ხომ არ ვუწოდო-მეთქი, მაგრამ მაშინვე უარვყავი ეს ფიქრი. საუკუნის წინათ, ამას მართლაც რაინდობად ჩათვლიდნენ, მაგრამ დღეს ისეა გაუფასურებული და წაბილწული ეს წოდება, რომ ჩვენს „გულის მომფხანს“ ამას ვერ ვკადრებ. ამიტომ, უბრალოდ და ქართულად ვიტყვი: ის არის ნამდვილი კაცი, რისი დეფიციტიც სრულიად აშკარაა დღევანდელ საქართველოში.

**ზურაბ ცუცქირიძე,**
**პედაგოგიკის დოქტორი**

**◎ ალიან-ჩალიანი**

## გია ბარამიძეს უფრო კარგად გავლახავდი!

**სოსო ჯაჭვლიანისა** და გია ბარამიძის დაპირისპირებას პარლამენტში ყოფილი შს მინისტრი კახა თარგამაძე მოსკოვიდან გამოეხმაურა. მისი განცხადებით, „ნაციონალური მოძრაობისთვის“ მხარდაჭერაც კი დანაშაულია.

**— სოსო ჯაჭვლიანის ადგილას გია ბარამიძეს უფრო კარგად გავლახავდი. ამას მარტო ბარამიძე კი არა, „ნაციონალური მოძრაობის“ ყველა წევრი იმსახურებს, რომლებმაც ქვეყანა გაყვლიფეს, გააუბედურეს და ახლა მაღალი ტრიბუნებიდან სხვებს მორალს უკითხავენ. ამ ხალხს ოდნავ მაინც შერჩენილი რომ ჰქონდეს სინდის-ნამუსი, თავად ჩასხდებოდნენ ციხეებში!**

**ქუჩაში ცხვირის გაყოფას ვერ უნდა ბედავდნენ! სულ უთავმოყვარეო უნდა ვიყოთ, ის რომ შევარჩინოთ, რაც ქართველ ერს დამართეს! ნახევარი საქართველოს კაცები ხომ გააუპატიურეს, ნახევარი გაუპატიურების მოლოდინში იყო, ცოლები გაუბახეს, ფიზიკურად გაანადგურეს, ქონება წაართვეს, ციხეებში აწამეს და მეტი რაღა უნდა ექნათ, კაცო?! ახლა ეს ნაძირლები და არაკაცები ისევ ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებით ლაპარაკობენ და კიდევ უნდა ავიტანოთ?!, — აცხადებს თარგამაძე.**

**ინტერპრესი**

# „არ მესმის რატომ თქვა იუსტიციის მინისტრმა, რომ ეს საკითხი დახურულია“

**„ეს არის  იმ ადამიანების ოცნება, რომლებიც მუდმივად შეთქმულების თეორიების ტყვეებაში არიან“, — აცხადებს საპარლამენტო უმრავლეოსბის წევრი თინა ხიდაშელი, რომელიც უარყოფს ინფორმაციას რესპუბლიკელებსა და პრემიერ-მინისტრს შორის არსებულ დაპირისპირებაზე. უმრავლესობის წევრისთვის მიუღებელია, პირადი კომფორტისთვის საბიუჯეტო რესურსის გამოყენება.**

**რა პრეტენზიები აქვს გენერალურ პროკურატურასთან და რატომ არ მიმდინარეობს ქონების დაბრუნების პროცესი, ამ საკითხზე for.ge თინა ხიდაშელს ესაუბრა.**

**— რამდენად** გონივრულია პოლიტიკოსების მხრიდან პირადი კომფორტისთვის საბიუჯეტო რესურსის გამოყენება? მხედველობაში მაქვს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ინიციატივა — შეიძინოს რიგით მესამე ძვირადღირებული ავტომობილი? როგორც ცნობილია, მას ორი ძვირადღირებული ავტომანქანა ემსახურება...

— ჩემი მხრიდან კომენტარი რთული გასაკეთებელია და ამას რამდენიმე მიზეზი აქვს. პირველ რიგში, იმიტომ, რომ ეს ჩვენი პარტნიორი პარტიის გადასაწყვეტია, მათ უნდა მოახდინონ რეაგირება, ამიტომ, დაველოდოთ. მეორე იმიტომ, რომ ავთო ბერიძე იმ ადამიანებს ეკუთვნის, რომელიც ჩვენ თავის დროზე გავრიცხეთ „რესპუბლიკური პარტიიდან“, ამიტომაც ცოტა უხერხულია ჩემგან ამაზე საუბარი. მე ვფიქრობ, რომ ძალიან არაადეკვატურია დღევანდელ რეალობაში ასეთი ფორმის ტენდერების გამოცხადება.

მაგრამ ჯიპის ტიპის მანქანას თუ ყიდულობს აჭარაში ხელისუფლება, ამაში საშაყირო არაფერი არაა. აჭარა მაღალმთიანია, კარგად ვიცით, რომ როდესაც თოვლი დგება, აჭარის დიდი ნაწილი საკმაოდ მიუდგომელია, ეს ძალიან ნორმალური და ადეკვატურია, მაგრამ გააჩნია... აქ ლაპარაკია ფასსზე და რა ტიპის მანქანაზე ვლაპარაკობთ. მე მგონია, რომ ზედმეტი ფუფუნების ნაწილია ამ ტიპის მანქანა. მე ვიცი რამდენიმე სახელმწიფო სტრუქტურა, სადაც დღემდე ასლან აბაშიძის დროს ნაყიდი ნივები ჰყავთ.

**— რამდენადაც ვიცი, იგივე პარლამენტის თავმჯდომარე იმ მანქანით მოძრაობს, რომლითაც საქართველოს პარლამენტის სამივე თავმჯდომარე დადიოდა...**

— რაც შეეხება პარლამენტის თავმჯდომარეს, გიდასტურებთ ამას. არაფერი პრობლემა არაა თუ იმ მანქანით წინა პარლამენტის თავმჯდომარეები დადიოდნენ. მთავარია, მანქანა მწყობრში არის თუ არა და დადის თუ არა.

**— რაც შეეხება რეგიონის გუბერნატორებს. როგორ აფასებთ ყოფილი ძალოვანების დანიშვნას რეგიონების გუბერნატორებად? ზაქრო ქუცნაშვილი ამბობს, რომ პრემიერმა ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელად ის ხალხი დანიშნა, ვისაც ის იცნობდა და ვისთანაც მას უმუშავიაო. მაგალითად, სამეგრელოს გუბერნატორად დაინიშნა ყოფილი პოლიციელი, ხოლო მისი მოადგილე ბატონი ბესელია შსს-ს დეტექტივი იყო ვანო მერაბიშვილის მინისტრობის პერიოდში...**

— არც ერთი გვარი და სახელი აბსოლუტურად არაფერს მეუბნება. ამიტომ ვერაფერს ვერ ვიტყვი და ვერანაირ კომენტარს ვერ გავაკეთებ. ეს პრემიერის პრეროგატივაა, პრემიერი იღებს მათზე პასუხისმგებლობას და ისინი ანგარიშვალდებული არიან მთავრობასთან. ირაკლი ღარიბაშვილმა იცის ყველაზე უკეთ ვისზე შეიძლება აიღოს პასუხისმგებლობა. ისინი ნამდვილად საქმეს გააკეთებენ და იმ ამოცანებს მოემსახურებიან, რაც „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას აქვს.

ეს არის თემა, როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ კომპეტენციის გამიჯვნაზე და ერთმანეთის კომპეტენციის პატივისცემაზე. მე, როგორც დეპუტატი ნამდვილად არ მივცემ ჩემს თავს იმის უფლებას, რომ ახლა ამ საკითხში ჩავერიო. ეს არის პრემიერის კომპეტენცია, პრემიერის საქმე და ის იღებს პასუხისმგებლობას ყოველივე მათგანზე. მე როგორც კახეთის ერთ-ერთი ოლქის მაჟორიტარს, ბუნებრივია, მაინტერესებს, რა გეგმები აქვს ირაკლი შიოლაშვილს და ვაპირებ მასთან კონტაქტს. დღემდე მხოლოდ კარგი მსმენია მის შესახებ, ამიტომ იმედი მაქვს, რომ როგორც გუბერნატორი, ასევე გააგრძელებს მუშაობას და დადებითი იქნება მის შესახებ ამბები, რომელსაც მომავალში გავიგებთ.

**— რაც შეეხება ჯაჭვლიანის და ბარამიძის ინციდენტს. უმცირესობა არ აპირებს, მონაწილეობა მიიღოს საპარლამენტო საქმიანობაში მანამ, სანამ პარლამენტის თავმჯდომარისგან არ იქნება შესაბამისი რეაგირება...**

— პარლამენტის თავმჯდომარემ გასცა პასუხი, რომ ის არაა საბავშვო ბაღის გამგე, რომ ვინმეს ჭკუა დაარიგოს, ან მორალი უკითხოს. გასაგებია, რომ ისინი საბაბს ეძებენ და, როგორც ჩანს, ფიქრობენ, ყველაზე სწორია, რომ თავი აარიდონ საკუთარი საქმიანობის განხორციელებას და პასუხისმგებლობას, — არაა პრობლემა.

რაც შეეხება ამ ინციდენტს, ამის დრამატიზებას ნამდვილად არ მივესალმები. საქართველოს პარლამენტშიც და მსოფლიოს სხვა პარლამენტშიც ასეთი ინციდენტები მომხდარა, მაგარამ რაღაცა აპოკალიპსის დახატვა, რომ, ვაიმე დედა, ეს რა მოხდა, სასაცილოა. კიდევ უფრო სასაცილოა იმ ხალხის მხრიდან ამაზე საუბარი, რომლებიც კასტეტებით დასდევდნენ საკუთარ კოლეგებს პარლამენტში და ყველას კარგად გვახსოვს კასტეტით შეიარაღებული პეტრე ცისკარიშვილი.

მე არ ვამბობ, რომ ეს კარგია და მივესალმები, მაგრამ ამაზე მათი მხრიდან საუბარი, უბრალოდ, სასაცილოა. მე მინახავს დასავლეთ ევროპის პარლამენტში სკამებს როგორ ურტყამდნენ ერთმანეთს, არაა საჭირო რაღაცა განსაკუთრებული ისტერიის მოწყობა ამ თემაზე. რა თქმა უნდა, ჯობია, რომ ცივილიზებულად, დებატებით გავართვათ თავი ურთიერთობებს, მაგრამ კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ დრამატიზების მიზეზს ნამდვილად ვერ ვხედავ.

**— არ ფიქრობთ, რომ ჯაჭვლიანის ასეთი ქმედება, სწორედ იმის შედეგია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ვერ შეძლო სამართლიანობის აღდგენის საკითხის გადაწყვეტა?**

— კითხვა თუ ის არის, რომ მე კმაყოფილი ვარ თუ არა? — არა, — მე არ ვარ კმაყოფილი. მეტის გაკეთება შეიძლებოდა. პროკურატურას უფრო ეფექტურად რომ ემუშავა, რა თქმა უნდა, მეტი საქმეები იქნებოდა გამოძიებული, უკეთ იქნებოდა გამოძიებული და სასამართლოში იმ ცირკის მომსწრეებიც არ ვიქნებოდით, რაც პერიოდულად იმართება. დიახ, ნამდვილად არ ვარ კმაყოფილი.

ვადასტურებ, რომ ეს პროცესი უფრო სწრაფი ტემპით უნდა წასულიყო. განსაკუთრებით კი გახმაურებულ საქმეებზე. ძალიან აგვიანებს სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმის გახსნა, ისევე როგორც ბუტა რობაქიძის საქმეზე ძალიან წარუმატებლად იმუშავა პროკურატურამ, არაფერს ვამბობ ვაზაგაშვილის საქმეზე, რომელზეც საერთოდ არაფერი არ გვესმოდა, მიდიოდა თუ არა ამ საქმეზე გამოძიება და რამე ხდებოდა თუ არა. იმედი მაქვს, რომ პროკურატურის ახალი შემადგენლობა უფრო სწრაფად და ხარისხიანად იმუშავებს.

**— თქვენ თუ ინტერესდებოდით ამ საქმეებით?**

— სულ ვინტერესდებოდი ამ საქმით და სულ ვიღებდი პასუხს, რომ აი დღეს თუ არა, ხვალო, მაგრამ ეს დღეს თუ არა ხვალ, ერთ წელიწადზე მეტ ხანს გაგრძელდა. ამიტომ, ნამდვილად არ ვიცი, არ მაქვს პასუხი. გაუგებარია, აუხსნელია, რომ დღემდე აქამდე მოვედით ისე, რომ არაფერი არ გვაქვს. ამით ძალიან უკმაყოფილო ვარ და დაუჯერებელი იყო, რომ შეიძლებოდა ასეთ მდგომარეობამდე მოვსულიყავით.

**— პრეტენზიები აქვს პროკურატურასთან იური ვაზაგაშვილს, რომელიც მისი შვილის მკვლელების მფარველობაში ამხელს ლაშა ნაცვლიშვილს. თუ კი დადასტურდა, რომ ნაცვლიშვილი მფარველობდა ამ საქმეს, მოითხოვთ მის დასჯას?**

— ჯერ უნდა გაირკვეს ეს ყველაფრი. ვნახოთ, დაველოდოთ მოვლენების განვითარებას. მე არა მაქვს არანაირი საფუძველი, ვიფიქრო, რომ მოხდა საქმეების გაჩერება და დაბლოკვა.

**— ხელისუფლებასთან და პროკურატურასთან პრეტენზიები აქვთ ბიზნესმენებს. ხელისუფლება დაპირდა მათ უკანონოდ წართმეული ქონების დაბრუნებას, მაგრამ ამ დრომდე არც ერთი ბიზნესმენისთვის არ მომხდარა ქონების დაბრუნება, მეტიც, აღმოჩნდა, რომ ხელისუფლება უარს ამბობს იგივე ხარვეზების დამდგენი კომისიის შექმნაზეც...**

— მე ვიტყოდი, რომ სახელმწიფოს აქვს ეს ვალდებულებები, მაგრამ ამ ვალდებულების შესრულება ან შეუძლია სახელმწიფოს, ან არა. არც თინა ხიდაშელს და არც ირაკლი ღარიბაშვილს იმედია არავინ არ მოსთხოვს, რომ სახლიდან მოგვიტანეო. აქ ლაპარაკია იმაზე, რომ სახელმწიფომ უნდა მოახდინოს ამ ვალდებულებების შესრულება. მე ვფიქრობ, რომ დღეს ეს შეუძლებელია.

უფრო მეტიც, ჩვენ ისიც კი არ ვიცით, შესაძლებელია, თუ შეუძლებელია. პროკურატურამ ისიც კი ვერ მოახერხა ამ ერთი წლის მანძილზე, რომ ზუსტი სურათი და ინფორმაცია გვქონოდა სინამდვილეში რა თანხებზე და რა მასშტაბის ანაზღაურებაზე ვლაპარაკობთ. ახალი პროკურატურის ვალდებულება სწორედ ესეც არის, რომ უსწრაფეს ვადებში ეს მონაცემები მაინც შეიქმნას და ეს მაინც ვიცოდეთ, რომ მერე ამის მიხედვით მივიღოთ გადაწყვეტილება, რა გზით მივდივართ და როგორ ვმოქმედებთ.

**— ქონების დაბრუნების გარდა, ერთ-ერთი პრობლემა არის ისიც, რომ ბიზნესმების მნიშვნელოვანი ნაწილი ქვეყნიდან წასულია. იმიტომ, რომ მათ მიმართ სისხლის სამართლის საქმეები იყო აღძრული და პატიმრობის გადაწყვეტილებებია გამოტანილი. პირველ რიგში, ამ ხალხს ქვეყანაში დაბრუნების შესაძლებლობა უნდა მივცეთ, თუ, რა თქმა უნდა, სისხლის სამართლის საქმეები რეალური არაა. ეს საქმეები უნდა ინახოს და გადაწყვეტილება უნდა იქნას მიღებული და ფორმა იქნას მოძებნილი. ჩემი აზრით აქედან უნდა დავიწყოთ და დანარჩენი მერე ვნახოთ.**

**თუმცა, დასახელებული იყო ციფრი 5 მილიარდი, შემდეგ უკვე 7 მილიარდი...**

— სხვადასხვა ციფრები მომისმენია, მაგრამ მე გულწრფელად გეუბნებით, რომ ჩვენ ზუსტად არ ვიცით რა ციფრზეა ლაპარაკი. ვიცით, რომ ძალაინ დიდ თანხაზე ვლაპარაკობთ, მაგრამ ზუსტად რომ გითხრათ 7 მილიარდზე ვლაპარაკობთ, 5-ზე თუ 9-ზე, არ ვიცით. რაც შეეხება თვითონ ხარვეზების დამდგენ კომისიას, ამ იდეით აღფრთოვანებული არ ვარ. ეს არ ნიშნავს, რომ პროცესი არ მინდა, რომ დაიწყოს. უბრალოდ, თვითონ ეს ფორმა არ მომწონდა და არც დღეს მომწონს. თუ აქამდე მივიდოდა საქმე, რა თქმა უნდა, საბოლოო ჯამში, მე მხარს დავუჭერდი, მაგრამ მე მგონია, რომ უფრო სწრაფი მექანიზმის გამონახვაც შეიძლებოდა.

**— და ბოლოს, არის თუ არა დაპირისპირება რესპუბლიკელებსა და პრემიერ-მინისტრს შორის?**

— ეს არის ოცნება იმ ადამიანების, რომლებიც მუდმივად შეთქმულების თეორიების ტყვეობაში არიან. გასაგებია, რომ სხვა არაფერი ხელმოსაჭიდი არ აქვთ, ამ ადამიანებს მუდმივად უნდათ ამტკიცონ, რომ ხელისუფლების შიგნით კონფლიქტია, ამ ბინძური ამბებით არიან დაკავებულები. მე იმაზე კომენტარს არ ვაკეთებ. ის მოვლენები და პროცესები, რომელიც მიმდინარეობს ქვეყანაში, არის პასუხი ამაზე, რომ არავითარი კონფლიქტი არაა. პირიქით, ეს არის ყველაზე უფრო ცხადი და კლასიკური გუნდურობის ფორმატი, რაც ახლა არის პარლამენტსა და მთავრობას შორის, შესაბამისად — მისი პირველ პირებს შორის.

**თამთა ქარჩავა**

## ⊙ წინასახალწლო ქველმოქმედება

## არა მარტო დაპურება, არამედ ადამიანური სითბო და სიყვარული

**საერთაშორისო ასოციაციასთან „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ არსებულ უმწეოთა სასადილოს ესტუმრნენ თბილისის ევროპული სკოლის მასწავლებლები და მოსწავლეები. მათ მოსწავლეთა ოჯახებიდან შემოწირული წინასაახალწლო ნობათი მოართვეს სასადილოს ბენეფიციარებს, კერძოდ: კვების პროდუქტები: ზეთი, წიწიბურა, მაკარონი, ბრინჯი, შაქარი, ტკბილეული.**

**მოქალაქეებს, რომლებსაც ფიზიკურად არ შეუძლიათ და არც ეკონომიური საშუალება აქვთ, რომ ყოველდღიურად მიირთვან ცხელი სადილი (სასადილო, 2004 წლიდან ფუნქციონირებს) ადამიანური ღირსების შეულახავად, აპურებს და სიცოცხლეს უხანგრძლივებს.**

**ასოციაციის სასადილოს პროექტს ახორციელებს საკუთარი სახსრების დანაზოგით. სასადილოს კონტინგენტი გაჭირვებული ინტელიგენციის ის ნაწილია, რომელთა ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია მოხდა, მათ გადალახეს ზღვარი და ესტუმრნენ დაწესებულებას, სადაც ადამიანური სითბო, ყურადღება, გულისხმიერება ხვდებათ ყოველდღიურად. ისინი სადილის შემდეგ რჩებიან, ესაუბრებიან ერთმანეთს, უზიარებენ ჭირ-ვარამს. ამდენად, სასადილოს ერთგვარი სათნოების სახლის ფუნქცია აკისრია. ამიტომ ევროპული სკოლის მოსწავლეებმა სკოლაში ჩატარებული კონცერტის შემოსავლით ბენეფიციარებს ტელევიზორი შეუძინეს და ნობათთან ერთად მოუტანეს მოხუცებს.**

**უდიდესი მადლიერება გვინდა გამოვხატოთ სკოლის ხელმძღვანელის ქალბატონ ნანა მოსიძის მიმართ ასოციაციის ბენეფიციართათვის გაწეული დახმარებისათვის, სკოლას კი წარმატება ვუსურვოთ მოსწავლეთა სწავლა-განათლების, აღზრდის საპატიო საქმეში.**

**ავთანდილ ბექაური**

◎ სხვა გაზეთიდან

# დასავლეთი საკუთარი მომავლის იმედს კარგავს

**რა ახასიათებს დასავლეთს? ამერიკელ და ევროპელ პოლიტიკოსებს უყვართ ლაპარაკი ფასეულობებზე და ინსტიტუტებზე. თუმცა, მილიარდობით ადამიანისათვის მთელ მსოფლიოში არსებობს ბევრად უფრო მარტივი და იოლად გასაგები კრიტიკული ზღვარი.**

**დასავლეთი – სამყაროს ნაწილია, სადაც რიგითი ადამიანებიც კომფორტულ პირობებში ცხოვრობენ. სწორედ ეს ოცნება უბიძგებს არალეგალ ემიგრანტებს იმისკენ, რომ საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად შეაღწიონ ევროპაში ან შეერთებულ შტატებში.**

მართალია, დასავლეთის მიმზიდველობა კვლავ მნიშვნელოვანია, მაგრამ დასავლური სამყარო საკუთარი მომავლის რწმენას კარგავს. გასულ კვირაში ბარაკ ობამამ მთელი თავისი პრეზიდენტობის განმავლობაში ერთ-ერთი ყველაზე დამთრგუნველი ტექსტი წარმოთქვა. გამოიყენა რა პირქუში ტერმინები, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა წარმოადგინა მზარდი უთანასწორობის და სულ უფრო შეზღუდული სოციალური მობილურობის ქრონიკა, რაც, მისი თქმით, „ფუნდამენტურ საფრთხეს უქმნის ამერიკულ ოცნებას, ჩვენი ცხოვრების წესს და იმას, რასაც მხარს ვუჭერთ მთელ მსოფლიოში“.

ამ გაზაფხულზე ჩატარებული კვლევის ფარგლებში, რომელიც 39 ქვეყანაში კვლევითმა ორგანიზაცია Pew Research Center-მა ჩაატარა, შეკითხვაზე „იცხოვრებენ თუ არა თქვენს ქვეყანაში შვილები მშობლებზე უკეთ?“ ამერიკელების მხოლოდ 33%-მა უპასუხა დადებითად, მაშინ, როდესაც 62%-მა თქვა, რომ მათი შვილები უარესად იცხოვრებენ. ევროპელების პასუხები კიდევ უფრო პირქუშია. მხოლოდ გერმანელების 28%-ს, ბრიტანელების 17%-ს, იტალიელების 14%-ს და ფრანგების 9%-ს მიაჩნია, რომ მათი შვილები უკეთესად იცხოვრებენ, ვიდრე წინა თაობები. ამ ტიპის დასავლური პესიმიზმი მკვეთრად კონტრასტულია იმ ოპტიმიზმისა, რომელიც განვითარებად სამყაროშია: უფრო ნათელი და აყვავებული მომავლის იმედი აქვთ ჩინელების 82%-ს, ინდოელების 59%-ს და ნიგერიელების 65%-ს.

სასიამოვნო იქნებოდა იმის ფიქრი, რომ დასავლეთში ცხოვრების დონის ვარდნა მხოლოდ პრესის მიერ ატეხილი ხმაურია, მაგრამ, სამწუხაროდ, ციფრები იმაზე მიუთითებს, რომ ადამიანებს რაღაცები ესმით. ბრუკინგსის ინსტიტუტის მონაცემებით, შეერთებულ შტატებში სამუშაო ასაკის მამაკაცთა ხელფასი, ინფლაციის გათვალისწინებით, 1970 წლის შემდეგ 19%-ით შემცირდა. საშუალო ამერიკელმა, რომელიც ერთ დროს ამერიკული ოცნების განსახიერება იყო, პოზიციები დაკარგა, თუმცა, ადამიანების 5%-ის შემოსავლები სიის სათავეებიდან, სერიოზულად გაიზარდა. შეშფოთებას კონსერვატორი პოლიტიკოსებიც კი აღარ მალავენ. სენატორმა მარკო რუბიომ, რომელიც რესპუბლიკური პარტიიდან პრეზიდენტის კანდიდატობის პრეტენდენტია 2016 წლის არჩევნებში, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მის მშობლებს ჰქონდათ „წინსვლის და საშუალო კლასის წარმომადგენლებად“ ჩამოყალიბების შესაძლებლობა, მოკრძალებული, მაგალითად, ბარმენის ან მოახლის სამუშაოს შესრულების შემთხვევაშიც კი. თუმცა, ის აღიარებს, რომ ჩვენს დროში ეს უკვე შეუძლებელია.

პირქუში განწყობები და რწმენის ნაკლებობა ევროპაში არსებულ რეალობასაც ეფუძნება, განსაკუთრებით იმის გაცნობიერებას, რომ დახმარებები და პენსიები მომავალში, როგორც ჩანს, ნაკლებად გულუხვი იქნება. კეთილდღეობის შეზღუდვა ყველაზე მკვეთრად იგრძნობა იმ ქვეყნებში, სადაც ყველაზე მეტად დაზარალდნენ ვალის კრიზისის გამო - საბერძნეთსა და პორტუგალიაში ხელფასები და პენსიები რეალურად შეამცირეს.

იმავდროულად, ცხოვრების დონე იზღუდება იმ ქვეყნებშიც, რომლებსაც შედარებით კარგი შედეგები აქვთ. Financial Times-ის მიერ ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო, რომ 1985 წელს დაბადებული ბრიტანელები ბოლო ასი წლის განმავლობაში მოქალაქეთა პირველი თაობაა, რომლებიც არ მოელიან ცხოვრების დონის გაუმჯობესებას იმ ადამიანებთან შედარებით, რომლებიც ათი წლით ადრე დაიბადნენ.

გერმანიაშიც კი, რომელსაც ხშირად აქებენ, როგორც შედარებით წარმატებულ მსხვილ ეკონომიკას დასავლურ სამყაროში, „მერკელის ეკონომიკური სასწაულის“ შედეგები დიდწილად სახელფასო ანაზღაურების სკალის ზედა ნაწილში იგრძნობა. ეკონომიკური რეფორმები, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა საექსპორტო ბუმს გერმანიაში, დაკავშირებული იყო სახელფასო ანაზღაურების ზრდის შეკავებასთან, სოციალური დახმარებების შეზღუდვასთან და იმასთან, რომ დიდი ოდენობით დროებით მუშახელს იყენებდნენ.

არსებობს კავშირი განვითარებად ქვეყნებში ოპტიმისტური განწყობების ზრდასა და მზარდ პესიმიზმს შორის დასავლეთში. გასულ კვირაში, თავის გამოსვლაში ობამამ აღნიშნა, რომ „1970-იანი წლების შემდეგ, სოციალური კონტრაქტის ნგრევა დაიწყო“. შეიძლება, დამთხვევა არც იყოს ის, რომ სწორედ 1970-იანი წლების ბოლოს ჩინეთი „გაიხსნა“ გარე სამყაროსთვის.

დღეს, თავად გლობალიზაციის დამცველებიც კი, როგორც წესი, აღიარებენ, რომ გლობალური შრომითი რესურსების გაჩენამ ხელი შეუწყო ევროპაში სახელფასო ანაზღაურების დონის ზრდის შეკავებას. ზოგიერთი ჩემი ევროპელი მეგობარი ოცნებობს, რომ პროტექციონიზმი (ან აზიაში ომიც კი) დააბრუნებს დასავლეთში ბევრ კარგად ანაზღაურებად სამუშაო ადგილს. თუმცა, სინამდვილეში, საეჭვოა გლობალიზაციამ უკან დაიხიოს, თუკი გავითვალისწინებთ ტექნოლოგიურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ძალებს, რომელიც მას წინ უბიძგებს. რა თქმა უნდა, მორალური თვალსაზრისით საეჭვო იქნებოდა ცხოვრების დონის გაზრდის მცდელობა დასავლეთში იმ ეკონომიკური ტენდენციისთვის ძირის გამოთხრით, რომელმაც შეძლო სიღატაკიდან დაეხსნა მილიონობით ადამიანი განვითარებად სამყაროში.

იმ შემთხვევაშიც, თუკი დასავლური სახელმწიფოები დახურავენ საკუთარ ბაზრებს, დასავლური დაქირავებული მუშახელი, სულ უფრო მკაფიოდ გააცნობიერებს, რომ ზოგიერთი სამუშაოს შესრულება უფრო იაფია კომპიუტერების ან რობოტების საშუალებით. მართლაც, რობოტების მოზღვავება მალე საფრთხეს შეუქმნის მათაც, ვინც ჩინეთში კონვეიერზე მუშაობს.

თუკი ცხოვრების დონის ვარდნა გაგრძელდება, როგორ ირეაგირებენ ამაზე დასავლელი ამომრჩევლები? პოლიტიკური რადიკალიზაციის ნიშნები უკვე შესამჩნევია – პოპულისტი მემარჯვენეები იმყარებენ პოზიციებს როგორც შეერთებულ შტატებში, ასევე ევროპაში. თუმცა, ჯერ-ჯერობით იმის ნიშნები არ ჩანს, რომ „ჩაის პარტიის“ მოძრაობას ამერიკაში ან ნაციონალისტურ ძალებს ევროპაში რეალური წარმოდგენა აქვთ იმაზე, თუ რას ნიშნავს მსხვილი სახელმწიფოს ცენტრალური მთავრობის კონტროლი. კონსენსუსი გლობალიზაციის თემაზე, როგორც ჩანს, ჯერჯერობით შენარჩუნებულია. გასული კვირის ბოლოს მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაციამ, როგორც ჩანს, გარღვევა მოახდინა ახალი გლობალური სავაჭრო შეთანხმების ძიების პროცესში.

მართალია, ახალი პოლიტიკური მოძრაობები არ არიან ჯერ მზად იმისთვის, რომ დაანგრიონ ტრადიციული პოლიტიკური პარტიები დასავლეთში, თუმცა, მეინსტრიმულ პოლიტიკოსებს უწევთ ახალ ეკონომიკურ კლიმატზე რეაგირება. იზრდება მზარდი უთანასწორობის წნეხი, რომელიც მიმართულია გადასახადების უფრო სამართლიანი გადანაწილების შემოღებასა და სახელფასო ანაზღაურების მინიმალური დონის ზრდისაკენ ატლანტიკის ორივე მხარეს.

**დასავლეთის ეკონომიკური სნეულების კიდევ ერთი ათწლეული, ან ღმერთმა დაგვიფაროს და კიდევ ერთი ფინანსური კრიზისი, დიდი ალბათობით უფრო რადიკალური გადაწყვეტილებების და პოლიტიკოსების გაჩენის მიზეზი გახდება.**

**გიდეონ რაჰმანი.**

**FINANCIAL TIMES**

◎ საინვესტიციო გარემო

# როცა პროგნოზი პროგნოზად რჩება...

**ძვეძანაში** **საინვესტიციო ნაკადის შესუსტებაზე ბოლო დროს გაუთავებელი დავაა მმართველ კოალიციასა და საპარლამენტო ოპოზიციას შორის, თუმცა, რაკი ეკონომიკური წარუმატებლობების პოლიტიკური ოპონენტებისთვის გადაბრალება ჩვეულებრივი ამბავია, ეს დიდად არავის უკვირს. გაცილებით უფრო საინტერესოა საკითხთან დაკავშირებული კონკრეტიკა, რომელსაც საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური აქვეყნებს.**

წლევანდელი სამი კვარტალის მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ (რადგან საფინანსო წელი ჯერ არ დასრულებულა, ხოლო მისი მთლიანი დაზუსტებული შედეგები გაცილებით გვიან გახდება ცნობილი), ყველაზე მეტი უცხოური ინვესტიცია მესამე კვარტალში შემოვიდა – 239 მილიონი დოლარი. რაც შეეხება წლის პირველ ნახევარს, იანვარ-მარტში ეს მაჩვენებელი 226 მილიონი დოლარის, ხოლო აპრილ-ივნისში კი 232 მილიონი დოლარის ტოლი იყო. ამდენად, თვალის ერთი გადავლებით აშკარად ჩანს, რომ, კვარტალური მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ, წლის დამდეგიდან პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადის, მართალია, არცთუ დიდი, მაგრამ მაინც გარკვეული ზრდა შეიმჩნევა, რაც, თავისთავად, პოზიტიური მომენტია.

სამი კვარტალის მანძილზე შემოსული 697 მილიონი დოლარიდან ყველაზე მეტი სახსრები წლების მანძილზე განვითარების დონით სხვა დარგების გამსწრებ **ფინანსურ** სექტორში მიიმართა და მესამე კვარტალში ამ მაჩვენებელმა 48 მილიონი დოლარი შეადგინა. მიღებული ფინანსური ნაკადების სიდიდით მეორე და მესამე ადგილებზე არიან ასევე სტაბილური განვითარების სხვებზე უფრო მაღალი დონით გამორჩეული **ტრანსპორტისა** და **კავშირგაბმულობის** სფეროები, ასევე **ენერგეტიკა** (შესაბამისად, 47 და 33 მილიონი დოლარი).

აღნიშნულ პერიოდში საქართველოში პირდაპირი ინვესტირების მოცულობით საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები (ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის, მსოფლიო ბანკები და სხვ.) ლიდერობენ, რომელთა წილად მთელი მოცულობის დაახლოებით 20 პროცენტი მოდის. მეორე ადგილზე მთლიანი მოცულობის 15 პროცენტით ამერიკის შეერთებული შტატებია, რომელსაც 13-13 პროცენტით ნიდერლანდი და თურქეთი მოსდევენ.

ექსპერტები ერთ საგულისხმო გარემოებას აქცევენ ყურადღებას: იმის გათვალისწინებით, რომ ნებისმიერი დონის არჩევნების დროს, მით უმეტეს ისეთი მაღალი დონისა, როგორიცაა საპრეზიდენტო არჩევნები, ეკონომიკური აქტივობა არა თუ არ იზრდება, იკლებს კიდეც, ამდენად მესამე კვარტალში პირდაპირი ინვესტიციების მხრივ რაიმე საგრძნობი გარღვევა არც იყო სავარაუდო. ამის მიუხედავად, წლევანდელი ეს მაჩვენებელი შარშანდელ ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს 20 პროცენტით აღემატება, თუმცა კი სამართლიანობა მოითხოვს ისიც გავიხსენოთ, რომ იმ დროს შიდა პოლიტიკური დაძაბულობის გრადუსი ქვეყანაში გაცილებით უფრო მაღალი იყო.

ეს ყველაფერი კი ასეა, მაგრამ საყურადღებო ისაა, რომ მეოთხე კვარტალში, ანუ წლის მიწურულისთვის, ტრადიციულად, ეკონომიკური აქტივობა გარკვეულწილად „ინერციით“ იკლებს ხოლმე და წლის მანძილზე პირდაპირი ინვესტიციების ზრდის ტენდენციის გაგრძელებას არ უნდა ველოდოთ. მეორე გარემოება ისაა, რომ აგერ უკვე მეორე წელია, რაც მთავრობის ეკონომიკური გუნდის განცხადებული პროგნოზი ინვესტიციების შემოდინების თაობაზე არა თუ არ მართლდება (ამის თქმა შარშანდელ მაჩვენებელზე კიდევ შეიძლება), არამედ ისე, ჰაი-ჰარად წამოსროლილ ლოზუნგს უფრო ჰგავს. ეს თავადაც შეგიძლიათ განსაჯოთ, ბატონებო: **თუ შარშან მთავრობა მილიარდი დოლარის ინვესტიციის შემოდინებას ელოდა, ხოლო რეალურად ეკონომიკაში მხოლოდ 866 მილიონი დოლარი დაბანდდა, ცდომილება, როგორც ადვილი გამოსათვლელია, 135 მილიონი დოლარია. ეს თანხა ჩვენი გაჭირვებული ეკონომიკისთვის, ცხადია, საკმაოდ მნიშვნელოვანია, თანაც ცდომილების გამართლება შარშანდელი საპარლამენტო არჩევნებით გამოწვეული პოლიტიკური დაძაბულობით, ინვესტორთა მოლოდინის რეჟიმში ყოფნით და ა.შ., სავსებით მისაღებია. მაგრამ რაც შეეხება წლევანდელ დაანონსებულ და ამჟამად, ფაქტობრივად, უკვე თითქმის მთლიანად გამოხატულ რეალურ მდგომარეობას შორის განსხვავებას, ის არათუ დიდია, არამედ, უბრალოდ, კატასტროფული.**

წლის დამდეგს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პროგნოზით, რასაც ფინანსთა სამინისტროც იზიარებდა, ქვეყანაში ორი მილიარდი დოლარის პირდაპირი ინვესტიცია უნდა შემოდინებულიყო. თუ ზემოთ მოყვანილი სამი კვარტალის მონაცემებს გავიხსენებთ, რომ ამ ხნის მანძილზე ქვეყნის ეკონომიკაში 697 მილიონი დოლარი ჩაიდო, უკეთეს შემთხვევაში საბოლოო ანგარიშით მთლიანი ოდენობა მილიარდ დოლარს ოდნავ გადააჭარბებს. ამდენად, გამოვა, რომ ცდომილება თითქმის მილიარდ დოლარს მიაღწევს და საპროგნოზოზე ორჯერ მცირე იქნება. ეს კი, დაგვეთანხმებით, უკვე არა ცალკეული გარემოებების მიზეზებითაა გამოწვეული, არამედ სტრატეგიული მიდგომების ხარვეზებზე მეტყველებს.

ამასთან დაკავშირებით ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ბოლო დროს ქვეყანაში შიდა პოლიტიკური ბრძოლის მშვიდობიანად წარმართვის პირობებში, ინვესტორებს მეტი დაინტერესება უნდა გამოეჩინათ საქართველოს მიმართ უწინარესად იაფიანი სამუშაო ძალის, ასევე, მართალია, შედარებით მწირი, მაგრამ მაინც არსებული საექსპორტო პოტენციალის გამო, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ამის მიზეზი კი, როგორც ჩანს, უწინარესად, ისაა, რომ **მთავრობის სამომავლო ეკონომიკური სტრატეგია ინვესტორთათვის ჯერაც გაურკვეველია, დანამდვილებით ცნობილი არ არის, თუ როგორი რეგულაციები იმოქმედებს ხანგრძლივ პერსპექტივაში და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, როდის დადგება ქვეყნის ეკონომიკაში, ბიზნესში სამართლის ზეობის ჟამი.**

ისე, ბატონებო, ეს ქართულ საზოგადოებრიობასაც ძალიან აინტერესებს, თანაც დიდი ხანია.

**ოთარ ტურაბელიძე**

# პოლიტიკიდან ბიზნესში და პირიქით



## როგორ გახდნენ მილიონრები პარლამენტში ცალ-ცალი კალოშით მოსულები

**სააკაშვილი** ყოველმხრივ ცდილობდა პარლამენტი მონურ მორჩილებაში ჰყოლოდა. ამისათვის ათასგვარ მეთოდებს იყენებდა. ერთ-ერთი იყო ყოველგვარი კონტროლის მოშლა, და პირიქით ხელშეწყობაც კი ხალხის რჩეულთა ბიზნესსაქმიანობაზე. პრეზიდენტყოფილმა წესად შემოიღო, რომ სახელმწიფო „ტენდერებს“ პარლამენტარების, მთავრობის მაღალჩინოსნების ან მათი ოჯახის წევრების დაფუძნებული, თუნდაც წილში მათთან მყოფი კომპანიები იგებდნენ.

**არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“** დაინტერესდა „ნაცების“ პარპაშის დროს რამდენად ირღვეოდა კანონი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ, რასაც არასოდეს რეაგირება არ მოჰყოლია. გამოვლინდა უამრავი შემთხვევა, როდესაც პარლამენტარების, მათი ოჯახის წევრებისა თუ დაახლოებული ბიზნესმენების კომპანიები სახელმწიფოსთან აფორმებდნენ ღია კონტრაქტებს, ხშირად ყოველგვარი ტენდერის ჩაუტარებლად: გამოიკვეთა ტენდენცია, როდესაც უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოში მოხვედრის შემდეგ გადეპუტატებულები თავიანთ ბიზნესინტერესებს ლობირებდნენ. წინმსწრებად ვიტყვით, რომ ექსპერტები, სპეციალისტები, პოლიტოლოგები ბიზნესიდან პოლიტიკაში და პოლიტიკიდან ბიზნესში მაღალჩინოსანთა გადაბარგებას „მბრუნავი კარის“ პრინციპად მოიხსენიებენ.

### თვალსაჩინო მაგალითები

**პარლამენტის** ვიცე-სპიკერი (2008-2012 წ. წ.) **რუსუდან კერვალიშვილი** საკანონმდებლო ორგანოში მოხვედრამდე და შემდეგაც ქვეყნის ერთ-ერთი უმსხვილესი კომპანიის თანამფლობელი იყო. ვიცე-სპიკერი თავის დასთან **მაია კერვალიშვილთან** და სიძე „ტუი“ – **ვახტანგ რჩეულიშვილთან** ერთად ფინანსური პირამიდის სქემის გამოყენებით ინვესტორთა თანხების სავარაუდო გაფლანგვაში იყო ბრალდებული. ოჯახური მაქინაციების შედეგად 30 ათასზე მეტი ადამიანი დაზარალდა. სერიოზული მტკიცებულებების არსებობის მიუხედავად, ადეიშვილის პროკურატურამ ხალხის გამოუვალ მდგომარეობაში ჩაყრა არაფრად ჩააგდო. „კლანის“ წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე მხოლოდ 2013 წლის ივლისში აღიძრა, მაგრამ კბილაშვილის პროკურატურის ხელში, როგორც დაზარალებულთათვის, ასევე ფართო საზოგადოებისათვის ჯერაც უცნობია თუ რა სტადიაშია გამოძიების საქმე.

კომპანიების ფლობისა და მათში წილის განკარგვის მხრივ აშკარა ლიდერია „ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან პარლამენტის წევრი (2008-2012 წ.წ.) **გოჩა ენუქიძე,** იგი მფლობელია ან მეწილეა 37 კომპანიაში. გამოვყოფდით რამდენიმე მსხვილ ფირმას: **„იბერია ვატო“, „იბერია სერვისი“, „იბერია ავტო ლენდი“, „იბერია მოტორსი“, „კია მოტორსი საქართველო“, „იბერია აუტჰ აუსი“, „იბერია ტექავტომობილები“** და სხვა. ენუქიძე „ხელი-ხელს ბანს“ პრინციპით იყო დაკავშირებული „ნაცმოძის“ ელიტასთან. იგი ვითომ ჩატარებულ მრავალ სახელმწიფო „ტენდერშია“ გამარჯვებული და წარმოადგენს სამთავრობო თანხების ერთ-ერთ მსხვილ მიმღებს. ენუქიძემ, 2010-2013 წ.წ. „ტენდერების“ მეშვეობით სულ მცირე 16,3 მლნ მოგება მიიღო, ამბობენ არასამთავრობოში და იქვე ამტკიცებენ, რომ მარტო 2012-2013 წ. წ. გამარტივებული შესყიდვების გზით, მისმა კომპანიებმა 6,6 მლნ ლარის მოგება ნახეს.

2008 წელს არჩეული პარლამენტარი **არჩილ გეგენავა,** დეპუტატის მანდატის მიღებამდე ცნობილი მსხვილი ბიზნესმენი იყო. როგორც „გამჭვირვალე საქართველოს“ მონიტორინგით ირკვევა, მის საკუთრებაში, ან მნიშვნელოვანი წილების საკუთრებაში 20-ზე მეტი კომპანია და ფირმა იყო. საკანონმდებლო ორგანოში მოხვედრის შემდეგ არჩილ გეგენავამ საკუთრებაც და წილებიც ძმას **ანდრო გეგენავას** გადასცა. თუმცა, მისმა ორმა მხსვილმა კომპანიამ „მეგაფუდ“-მა და „ფუდ-სერვის“-მა 2011 წლიდან მოყოლებული არაერთი „ღია ტენდერი“ მოიგო. 9 მლნ ლარზე მეტი მიიღო. მას არც ღია ტენდერის ჩატარება დასჭირვებია, რათა შეიარაღებული ძალების საკვებით უზრუნველყოფის მიზნით თავდაცვის სამინისტროსთან ხელშეკრულება გაეფორმებინა.

გეგენავას მსგავსად წინდახედულად არ მოქცეულა მისი კოლეგა, იმავე მოწვევის პარლამენტარი **კანდიდ კვიციანი.** 2009 წლის დეკლარაციის მიხედვით, იგი რამდენიმე კომპანიის მესაკუთრე და რამდენიმე ფირმაში წილების მფლობელი იყო. 2010 წელს შევსებულ დეკლარაციაში კვიციანს მფლობელობაში მხოლოდ შპს „ენგური-2006“ აქვს მითითებული, ხოლო შემდგომ ესეც დამალა და 2011-2012 წლების ქონებრივ დეკლარაციაში უფრთო ანგელოზად გამოაცხადა თავი და არც ერთ კომპანიასთან კავშირი აღარ დაუფიქსირებია. თუმცა, „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ მონიტორინგის ჯგუფის მიერ „საქართველოს მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში“ მოპოვებული ინფორმაციიდან ჩანს, იგი სხვა კომპანიებთან ერთად ინარჩუნებდა 50-პროცენტიან წილს „ენგური-2006“-ში – 2013 წლის ივლისამდე. ქონების დამალვა დეკლარაციის შევსების დროს სისხლის სამართლის დანაშაულია.

დეპუტატობის პერიოდში კვიციანმა „ენგური -2006“-ის მეშვეობით მარტო 2012 წელს გამარტივებული შესყიდვებით 31,8 მლნ ლარის მოგება მიიღო. ამას გარდა, პარლამენტარის ფირმამ 2011-2012 წ.წ. „საჯარო ტენდერში“ გამარჯვებით დამატებით 18,6 მლნ ლარი მოიგო. 2010 წელს კვიციანის ერთ-ერთმა ფირმამ სვანეთში აეროპორტის მშენებლობისთვის გამართულ „ტენდერში გაიმარჯვა“, რისთვისაც სახელმწიფოსგან 8,4 მლნ ლარით „დასაჩუქრდა“.

**სხვათა შორის, ეს საქართველოში გამილიონერებული ის ნაყოფიაა, რომელმაც მიშას მიერ პირადი პიარისათვის აშშ-დან სპეციალურად ჩამოყვანილი მსახიობის ენდი გარსიას ფილმის პრეზენტაციაზე ამერიკელი კინოვარსკვლავის შერონ სტოუნის გვერდზე დასაჯდომ ბილეთში 20 ათასი დოლარი გადაიხადა.**

2008-2012 წ. წ. მოწვევის მაჟორიტარი პარლამენტარი წყალტუბოდან გახდა **კოხოძე.** მანამდე იგი იყო 9 კომპანიის მფლობელი. მათ შორის უმსხვილესია „თეგეტა ჯგუფი“, რომელიც წარმოადგენდა „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთ უმსხვილეს დამფინანსებელს, ნებისმიერი არჩევნების დროს. ნაცებიც ამაგს არ უკარგავდნენ და კოხოძის კომპანიები მუდმივად ხდებოდნენ სახელმწიფოს მიერ გამოცხადებული „ღია ტენდერების“ გამარჯვებულები. დაუსჯელობისა და ყოვლისშემძლეობის სინდრომი იმდენად გაუჯდა პარლამენტარს, რომ მან მის მიერვე შექმნილი შპს „საირმის განვითარების ფონდის“ მეშვეობით ადგილობრივებს, მიწის ნაკვეთები იძულებით ჩამოართვა 2011 წელს და ადგილობრივი სამართალდამცავი ადმინისტრაციული ორგანოების უშუალო მხარდაჭერით საირმელებს, ძალის უხეში გამოვლენით, აიძულა წართმეული მიწის ნაკვეთები დოკუმენტურად გაეფორმებინათ, როგორც სახელმწიფოსათვის ნაჩუქარი („საირმის განვითარების ფონდისათვის“). შემდგომ კოხოძემ მიწის მითვისებული ნაკვეთები მიზერულ ფასად მიჰყიდა თბილისელ მაღალჩინოსნებს. მიწებწართმეული მოსახლეობა ჩიოდა, აქციებს მართავდა, საკუთრებით უკან დაბრუნებას, ან თუნდაც კუთვნილი თანხის გადახდას ითხოვდა. მაგრამ სააკაშვილის ხელის ბიჭებად გადაქცეული მართლმსაჯულებისა და სამართალდამცავი ორგანოები დუმდნენ. არავის მიუქცევია ყურადღება იმისთვისაც, რომ დეპუტატ კოხოძეს სერიოზული ბრალდებებით სასამართლოში უჩიოდა მისი კანონიერი მეუღლე. მაგრამ ეს საქმეც ჩაფარცხეს.

არასამთავრობო ორგანიზაცია ჩატარებული მონიტორინგის შემდეგ იმ დასკვნამდე მიდის, რომ სამართალდამცავი სტრუქტურები ვერ უბედავდნენ გავლენიან დეპუტატებს, მათ კომპანიებს ანდა პარლამენტარების მფარველობის ქვეშ მყოფ ფირმებს, შესაძლო დარღვევების დაფიქსირებასა და დანაშაულზე გამოძიების დაწყებას.

მუდმივი საშვის მქონე **დავით ბეჟუაშვილი** უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს წევრია 1999 წლიდან დღემდე (ნაციონალების პროპორციული სიით). ეს გარემოება მას სრულებითაც არ უშლის ხელს, საქართველოში აკონტროლოს აქტივები მარშალის კუნძულზე რეგისტრირებული CHEMEXIM INTERNATIONAL-ის მეშვეობით. საქართველოში დეპუტატის ძირითადი კომპანიაა „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი“, რომელიც დაკავებულია ტყიბულში ნახშირის მოპოვებით და „საქნახშირის“ ერთადერთი მესაკუთრეა. 2010 წლიდან მოყოლებული ტყიბულის მაღაროში რამდენიმე აფეთქება მოხდა, რის შედეგადაც დაიღუპა 11 მაღაროელი, 4 კი მძიმედ დაშავდა. ბოლო აფეთქების შემდეგ ვითომ გულმოსულმა სააკაშვილმა კრიტიკის ცეცხლში გაატარა მართლწესრიგის დამცველნი, რადგანაც მათ ვერ შესძლეს წინა აფეთქების მიზეზების ხეირიანად გამოძიება. მაშინ, ჯერ კიდევ პრეზიდენტის რანგში მყოფმა „მაღალმა“ პროკურორებს ბრალი დასდო კომპანიის ხელმძღვანელობასთან კორუფციულ გარიგებაში. სააკაშვილმა ეს ტრაგედიაც პიარად გამოიყენა და აღშფოთებულმა დაპირება მისცა ხალხს, რომ გამოძიებას პირად კონტროლზე აიყვანდა და დამნაშავეებს სასტიკად დასჯიდნენ. მაგრამ გავიდა ხანი და სააკაშვილს დანაპირები დაავიწყდა. გამოძიება კი მხოლოდ იმით შემოიფარგლა, რომ ბრალი დაღუპული მაღაროელების უშუალო ხელმძღვანელებს წაუყენეს. ბეჟუაშვილი კი ნაციონალთა სიაში გამსვლელ რიგებში ჩაწერეს და პარლამენტარიც გახადეს.

პარლამენტში დღესაც ბლომად არიან პოლიტიკოსი ბიზნესმენები. მათში აშკარა ლიდერია **გოჩა ენუქიძე** (ნაციონალები, 37 კომპანია), **გოგი თოფაძე** („ოცნება“, 24), **კახა ოქრიაშვილი** (ნაციონალები, 13), **კობა ნაყოფია** (დამოუკიდებელი დეპუტატი, 5), **ვალერი გელაშვილი** („ოცნება“, 3), **დავით ბეჟუაშვილი** (დამოუკიდებელი დეპუტატი, 2).

საინტერესო რამ დააფიქსირა საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ **ნაყოფიასთან** დაკავშირებით. როგორც კი ახალმა ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება საყდრისის ოქროს საბადოსთვის კულტურის ძეგლის სტატუსის ჩამოშორების თაობაზე, რამაც ნაყოფიას კომპანიას ხელ-ფეხი გაუხსნა საბადოში დაეწყო მოპოვებითი სამუშაოები, ბიზნესმენმა დატოვა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“. იგი, მართალია, უმცირესობაში დარჩა, მაგრამ მხოლოდ დამოუკიდებელი დეპუტატის სახელით. იგივე ნაბიჯი გადადგა ბეჟუაშვილმაც. ოქრიაშვილი და ენუქიძე განმეორებით მოხვდნენ თუ არა პარლამენტში, მალევე დაემშვიდობნენ კოლეგა ნაცებს. აქედან გამომდინარე, არასამთავრობო აკეთებს დასკვნას, რომ გავლენიანი ბიზნესმენები ერთვებიან რა პოლიტიკაში, კონკრეტული პოლიტიკური პარტიის რიგებში მხოლოდ იმ დრომდე რჩებიან, ვიდრე ეს პოლიტიკური ორგანიზაცია ძალაუფლებას ინარჩუნებს (სხვათა შორის, ეს საქართველოში გამილიონერებული ის ნაყოფიაა, რომელმაც მიშას მიერ პირადი პიარისათვის აშშ-დან სპეციალურად ჩამოყვანილი მსახიობის ენდი გარსიას ფილმის პრეზენტაციაზე ამერიკელი კინოვარსკვლავის შერონ სტოუნის გვერდზე დასაჯდომ ბილეთში 20 ათასი დოლარი გადაიხადა).

მონიტორინგის ჯგუფის მოწოდებული ინფორმაციით, ბიზნესთან უბირად არც საქართველოს ყოფილი პრემიერები იყვნენ. „მბრუნავი კარის“ მეთოდით 8 პრემიერიდან (2004 წლიდან) 5 ხელისუფლებაში ან ბიზნესიდან მოვიდა, ან გადადგომის შემდგომ წავიდა ბიზნესში (იყო ორივე საქმიანობის შეთავსების შემთხვევებიც) მაგალითად, **ზურაბ ნოღაიდელი** „მბრუნავი კარით“ მოძრაობდა მთავრობასა და კერძო სექტორს შორის. 2005 წლამდე, ვიდრე პრემიერი გახდებოდა, ნოღაიდელი ექვსი სხვადასხვა კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე იყო, მაგრამ ქონებრივ დეკლარაციაში არც ერთი არ ჰქონდა მითითებული. იკვეთება ისიც, რომ ბევრმა თანამდებობის პირმა მთავრობიდან წასვლის შემდეგ სწრაფ წარმატებებს მიაღწია ბიზნესში საეჭვოდ მოკლე დროში და ერთი შეხედვით მწირი შემოსავლების მქონემ. მათ უცებ უფორმებდნენ გამარჯვებებს „ღია ტენდერებში“. სახელმწიფო მათ დაარსებულ ფირმებთან ყოველგვარი წინა მოლაპარაკებების გარეშე უფორმებდა ქვეყნისათვის წამგებიან, ბიზნესმენისათვის მომგებიან კონტრაქტებს. მთავრობიდან გამოსულები უცბად ახერხებდნენ ლიცენზიების მოპოვებას, სარგებლობდნენ მთელ რიგ საკითხებში ექსკლუზიური უფლებებითა და საგადასახადო შეღავათებით.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ყოველივე ზემოთქმულის კლასიკურ მაგალითად მოჰყავს თავდაცვის ექსმინისტრის, ამჟამად საფრანგეთში პატიმრობაში მყოფი და საქართველოს სამართალდამცავების მიერ წითელი ცირკულარით ძებნილი, **დავით კეზერაშვილი.** იგი ჩინოვნიკობამდე „ცალ-ცალი კალოშით“ მოვიდა, საჯარო სამსახურიდან წამოსვლიდან რამდენიმე დღეში კი უცებ მსხვილ ბიზნესმენად მოგვევლინა.

ბიზნესიდან წარმომავლობა არ უარუყვია და არც დაუმალია ქართული ლუდის მეფედ მონათლულ **გოგი თოფაძეს.** მან ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ პოლიტიკაში იმისათვის კი არ მოვიდა, რომ საკუთარ წარმოებას, ან მთლიანად დარგს გაუწიოს ლობირება, არამედ იმისათვის, რომ ბიზნესის კანონებით გათავისუფლებაში მიიღოს ქმედითი მონაწილეობა, რათა მეწარმეები ხელისუფლების ყოველგვარი შესაძლო ზეწოლისაგან იქნენ დაზღვეულები. **ჩემს ბიზნესს ლობირება არ სჭირდება, ყველაფერი კარგად მაქვს აწყობილი,** – განაცხადა თოფაძემ.

მონიტორინგის ჯგუფმა გაარკვია, რომ დღევანდელი პარლამენტის 147 დეპუტატიდან 41 პირდაპირი ან ირიბი (ოჯახის წევრთა მეშვეობით) კავშირი აქვს კერძო კომპანიებთან.

დასკვნის გაკეთება მკითხველისთვის მიგვინდია.

**ზაზა ბილიხოძე**

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ქართველი ექსმოხელე იარაღის უკანონო ვაჭრობაშია ეჭვმიტანილი

**თბილისში დააპატიმრეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შესყიდვების დეპარტამენტის ყოფილი ხელმძღვანელი ალექსანდრე ნინუა. მას წაუყენეს ბრალდება იარაღის უკანონო შეძენაში, შენახვასა და ტარებაში. მისმა ადვოკატმა მამუკა მდინარაძემ ჩვენთან საუბარში განაცხადა, რომ სასამართლო განხილვა 15 იანვარს დაიწყება.**

მაგრამ მის დაკავებასთან დაკავშირებით ქართველმა გამომძიებლებმა გამოაქვეყნეს უკიდურესად საინტერესო ფაქტი, თავისი მოქმედება კი განმარტეს ამ გარჩევასთან დაკავშირებით „მაღალი საზოგადოებრივი ინტერესით“. აღმოჩნდა, რომ ჯერ კიდევ 30 ივლისს ნინუა დაკითხეს მთავარ პროკურატურაში ამერიკის შეერთებული შტატების გამოძიების ფედერალური ბიუროს თხოვნით. ამ უწყების წარმომადგენლები ამ დროს იქ იმყოფებოდნენ.

**როგორც გამომძიებლები ამტკიცებენ, ამჟამინდელი მისი დაპატიმრება, თითქოსდა, პირდაპირ არის დაკავშირებული მისი პერსონისადმი ინტერესთან ამერიკული თემიდის მხრიდან.**

**ნინუა სამხედრო უწყებაში**

**2007-2009 წლებში მუშაობდა, ესე იგი, საქარველო-რუსეთის ხუთი წლისწინანდელი შეიარაღებული კონფლიქტის დროს. ანალიტიკოსებს ეჭვი არ ეპარებათ, რომ ამერიკელთა ინტერესი ამ ჩინოვნიკისადმი უკავშირდება საფრანგეთში ოქტომბრის შუა რიცხვებში საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრის დავით კეზერაშვილის დაპატიმრებას, ვის ხელქვეითადაც მუშაობდა ნინუა და ხელმძღვანელობდა დეპარტამენტს. მთავარი პროკურატურა ასევე იტყობინება, რომ ამერიკის იუსტიციის დეპარტამენტი და გამოძიების ფედერალური ბიურო ორჯერ, 2012 წლის 19 ოქტომბერს და 2013 წლის 2 ივლისს, ითხოვდნენ სამართლებრივ დახმარებას ამ მიმართულებით, თავისი გამოძიების ფარგლებში.**

საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის კვლევის ინსტიტუტის დირექტორმა, ნატოს ეგიდით მოქმედი ტერორიზმთან ბრძოლის საერთაშორისო სამუშაო ჯგუფის ექსპერტმა ვახტანგ მაისაიამ ჩვენს გაზეთს განუცხადა, რომ, „ცხადია, მწიფდება ხმაურიანი სკანდალი“.

**— ეჭვი არ მეპარება, რომ ეს დაკავშირებულია იარაღის შავ ბაზართან. ამერიკის შეერთებული შტატები მეტად არის დაინტერესებული ასეთი გამოკვლევებით ტერორიზმთან გლობალური ბრძოლის ფარგლებში,** — თქვა მაისაიამ.

ჯერ კიდევ შარშან ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი იხსენებდა საქართველოს, როგორც ქვეყანას, რომელსაც ჰქონდა კავშირი იარაღის უკანონო ბრუნვასთან.

საქართველოს ამჟამინდელი თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია ამ ცოტა ხნის წინათ საუბრობდა იმის შესახებ, რომ „მოისმინა კეზერაშვილისა და მეწარმე ვიქტორ ბუტის შესაძლო კონტაქტების შესახებ. ამ უკანასკნელს ამერიკის შეერთებულ შტატებში შარშან იარაღის უკანონო ვაჭრობის გამო საუკუნის მეოთხედი მიუსაჯეს“. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო შესყიდვებს, რომლებიც ხორციელდებოდა კეზერაშვილის დროს, გამომძიებლები სწავლობენ უკვე ერთი წელიწადია ქვეყანაში ხელისუფლების შეცვლის შემდეგ. ამასთან დაკავშირებით გამომძიებლებმა ნინუა დაკითხეს 26 სექტემბერსა და 19 ოქტომბერს.

საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გაჩნდა ცნობები, რომ უკანასკნელ პერიოდში ნინუა კეზერაშვილის ბიზნეს-პარტნიორი იყო. მაგრამ ადვოკატმა მდინარაძემ ეს უარყო, თქვა, რომ მის დაცვის ქვეშ მყოფი ამჟამად უმუშევარია.

**ვახტანგ მაისაია აღნიშნავს, რომ დიდი ხანია „საუბრობდა კეზერაშვილის ბუტთან და იარაღით სხვა მოვაჭრეებთან შესაძლო კავშირის შესახებ“.**

საფრანგეთში კეზერაშვილის დაპატიმრების შემდეგ, რომელსაც, საქართველოს გარდა ისრაელის მოქალაქეობაც აქვს, გაჩნდა არაოფიციალური ინფორმაცია, რომ საქართველოს თავდაცვის ექსმინისტრის დაცვაზე უარს აცხადებენ ცნობილი ფრანგი ადვოკატები. ეს, თითქოს, დაკავშირებულია სწორედ იმასთან, რომ იგი მონაწილეობას ღებულობდა იარაღით უკანონო ვაჭრობაში. აღსანიშნავია, რომ მისი დაპატიმრების შემდეგ საფრანგეთში იყვნენ ირაკლი ალასანია და საქართველოს ამჟამინდელი პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, რომელიც მაშინ ჯერ კიდევ შინაგან საქმეთა მინისტრი იყო. კეზერაშვილი დღემდე პატიმრობაში იმყოფება.

**თბილისში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შესყიდვების დეპარტამენტის ყოფილი ხელმძღვანელი ალექსანდრე ნინუა დააპატიმრეს**

საქმის სერიოზულობის შესახებ, მისადმი ამერიკის შეერთებული შტატების ყურადღების გათვალისწინებით, საუბრობს სამხედრო-ანალიტიკურ ჟურნალ „არსენალის“ მთავარი რედაქტორი ირაკლი ალადაშვილი.

**— მიხეილ სააკაშვილის პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მართვის პერიოდში არ ყოფილა არანაირი რეალური კონტროლი პარლამენტის ან საზოგადოებრიობის მხრიდან თავდაცვის სამინისტროს შესყიდვებისადმი,** — აღნიშნა ექსპერტმა ჩვენს გაზეთთან საუბარში. — ამავე დროს შეიძლება ითქვას, რომ ფიქტიური იყო ზედამხედველობაც სამხედრო უწყებაზე სპეციალური „ნდობის ჯგუფის“ მხრიდან, რომელშიც დეპუტატები შედიოდნენ. ესე იგი, არ იყო არანაირი გამჭვირვალობა!

ამას, მისი სიტყვებით, შეიძლებოდა გაეიოლებინა თავდაცვის სამინისტროს მაშინდელი თანამშრომლების საეჭვო საქმიანობა.

**მთავარმა პროკურატურამ უკვე გაუგზავნა საფრანგეთის კოლეგებს დოკუმენტები კეზერაშვილის ექსტრადაციის შესახებ. საკითხი შეეხება მის მიმართ წარდგენილ ბრალდებებს საქართველოში — ეს არის ქრთამის აღება 12 მილიონი დოლარის ოდენობით იმ პერიოდისთვის, როდესაც იგი ჯერ კიდევ საფინანსო პოლიციას ხელმძღვანელობდა. კეზერაშვილი, თითქოს, მფარველობდა იმ კრიმინალურ ჯგუფს, რომელიც აწარმოებდა ყალბი ალკოჰოლური სასმელების ექსპორტს.**

ამას გარდა, იძიებენ კეზერაშვილისა და თბილისის ამჟამინდელი მერის გიორგი უგულავას მიერ შექმნილ უკანონო სქემას ტელეკომპანია „იმედისთვის“ უფლებების მინიჭების შესახებ, ტელეკომპანიისთვის, რომელიც ხუთი წლის წინათ გარდაცვლილ სააკაშვილის ოპოზიციონერ ოლიგარქ არკადი (ბადრი) პატარკაციშვილს ეკუთვნოდა. 2008 წლის დეკემბერში, გამოძიების მონაცემებით, უგულავამ და კეზერაშვილმა აიძულეს პატარკაციშვილის ნათესავი ჯოზეფ ქეი, მიეღო მემკვიდრეობით უფლება ტელევიზიაზე და მიყიდოს იგი ნათესაურ კომპანიას 10 მილიონ დოლარად. ამ საქმეებთან დაკავშირებით სასამართლო გამოძიება თბილისში გრძელდება.

**აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ 2010 წელს მაშინ ოპოზიციური კონსერვატიული პარტიის ლიდერმა, პარლამენტის ამჟამინდელმა ვიცესპიკერმა მმართველი კოალიციიდან „ქართული ოცნება“ ზვიად ძიძიგურმა გააკეთა სკანდალური განცხადება, რომ მიიღო ინფორმაცია წყაროებიდან სამართალდაცვის ორგანოებში კეზერაშვილის მონაწილეობის შესახებ იარაღის უკანონო ვაჭრობასთან დაკავშირებით. მონაცემებით, რომლებიც ჰქონდა ძიძიგურს, კეზერაშვილი საქართველოს მიერ უკრაინელებისგან შესყიდულ რაკეტებს ხელახლა ჰყიდდა ირანში. იმ პერიოდში თბილისში ჩამოვიდა გამოძიების ფედერალური ბიუროს დირექტორი რობერტ მიულერი. ოპოზიცია მაშინ ამტკიცებდა, რომ ეს ვიზიტი დაკავშირებული იყო კეზერაშვილის გარიგებებთან, მაგრამ ოფიციალური დადასტურება ამან ვერ მიიღო.**

ИЗВЕСТИЯ

## დედამიწის ზურგზე

### დასავლეთში იანუკოვიჩისა და პუტინის შეხვედრის შეფასებაში აზრთა სხვადასხვაობაა. ამ შეხვედრის დროს რუსეთის ფედერაციამ უკრაინა „ძვირად იყიდა“

**ევროპაში რუსეთს აკრიტიკებენ უკრაინაზე ზემოქმედების გამო ევროინტეგრაციის შეთანხმების საკითხზე და გამოთქვამენ აზრს, რომ პუტინის მიერ დაპირებული რუსული კრედიტები უკრაინის მოდერნიზაციას გააჭიანურებს. ამერიკის შეერთებულ შტატებში დარწმუნებული არიან, რომ შეთანხმება არ გადაწყვეტს უკრაინაში პროტესტების პრობლემას და იმუქრებიან სანქციებით იანუკოვიჩის წინააღმდეგ.**

### დასავლეთმა პირველად აგრძნობინა სირიის ოპოზიციას, რომ ასადს შეუძლია, დარჩეს ხელისუფლებაში

**სწორედ ამის შესახებ იყო საუბარი სირიის „მეგობართა ჯგუფის“ შეხვედრაზე 13 დეკემბერს, ამტკიცებს როიტერის სააგენტო საკუთარ წყაროზე მითითებით. მეორე წყარომ გამოთქვა შეფასება, რომ ვაშინგტონი და მოსკოვი, როგორც ჩანს, ერთი მიმართულებით მუშაობენ, რათა გარდამავალ სირიის ადმინისტრაციაში შენარჩუნებულ იქნეს ალავიტების დომინირებული პოზიციები.**

### „ნასამ“ საერთაშორისო კოსმოსური სადგურისკენ ახალი საბვირთო ხომალდის გაშვება სადგურზე უნესრიგობათა გამო გადადო

**ეს საშუალებას მისცემს ასტრონავტებს უახლოეს პერიოდში გავიდნენ ღია კოსმოსში უწესრიგობათა თავიდან ასაცილებლად საერთაშორისო კოსმოსური სადგურის გარე ზედაპირზე. ხომალდს კოსმოსში იანვარში გაუშვებენ. 19 დეკემბრისთვის დაგეგმილი სტარტი გადაიდო. რაკეტას ანგარში მიიყვანენ.**

### სირიის ყველაზე სახიფათო ქიმიური იარაღის კომპონენტები ამერიკის ხომალდზე განადგურდება

**ტრანსპორტირებას განახორციელებენ ნორვეგია და დანია, იტალია შესთავაზებს ნავსადგურს გადატვირთვისთვის. რუსეთი იზრუნებს საზღვაო უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის ლატაკიაში და სირიის ტერიტორიულ ზღვაში, ქიმიური იარაღის ლიკვიდაციის ოპერაციის ფარგლებში.**

# რა კავშირი აქვს მერაბიშვილის განცხადებას ჟვანიას საქმის გამოძიებასთან?

**გენერალური პროკურატურა კატეგორიულად უარყოფს ვანო მერაბიშვილზე ზეწოლის ფაქტს. პროკურატურა ხაზგასმით აცხადებს, რომ მას შემდეგ, რაც მერაბიშვილის ბრალდების სასამართლო პროცესი დასკვნით ფაზაში გადავიდა, ბრალდებულების და მათი გულშემატკივრების მხრიდან სხვადასხვა ქმედებები ხორციელდება, რაც მიზნად ისახავს საზოგადოების შეცდომაში შეყვანას და პროცესის მონაწილეებზე ზეწოლის განხორციელებას.**

როგორც პროკურატურაში განმარტავენ, ასეთ ქმედება მოხდა ივანე მერაბიშვილის წინა სასამართლო პროცესზეც, რომლის დროსაც ბრალდების მხარის მოწმის სულამანიძის დაკითხვისას, ამ უკანასკნელის მიმართ განხორციელდა სიტყვიერი შეურაცხყოფა და მუქარა. ამ ფაქტთან დაკავშირებით, მთავარ პროკურატურაში დაიწყო გამოძიება.

**„პროცესის შემდგომ ბრალდებულები და დაცვის მხარე რამდენიმე დღის განმავლობაში ცდილობდნენ შეცდომაში შეეყვანათ, თითქოსდა სულამანიძეს არ მიუცია სასამართლოზე მერაბიშვილის დანაშაულში მამხილებელი ჩვენება, რაც არ შეესაბამება რეალობას და სრულად დაფიქსირებულია სასამართლო სხდომის ოქმში“,** — ნათქვამია განცხადებაში.

ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა, ბრალდებულმა ვანო მერაბიშვილმა ქუთაისში მიმდინარე სასამართლო სხდომაზე მთავარი პროკურორი ოთარ ფარცხალაძე ზეწოლაში დაადანაშაულა.

**„პარასკევს, გვიან ღამით, შაბათ დილის 2-ის ნახევარზე გამომიყვანეს ციხიდან, ჩამსვეს მანქანაში, თავზე გადამახურეს ჩემივე მოსაცმელი და წამიყვანეს ჩემი ვარაუდით სასჯელაღსრულების დეპარტამენტში. იმ კაბინეტში დამხვდა ორი ადამიანი. პირადად მთავარი პროკურორი ფარცხალაძე დამემუქრა, რომ თუ „ვითანამშრომლებდი“ ზურაბ ჟვანიას საქმეზე და ასევე მივაწვდიდი ინფორმაციას სააკაშვილის „ნაშოვნი ფულის“ ადგილსამყოფელზე, მაშინ მომცემდა შანსს ქვეყნიდან გასვლის, წინააღმდეგ შემთხვევაში, ციხეში გამიუარესდებოდა პირობები და ჩემს პოლიტიკურ თუ არაპოლიტიკურ მეგობრებსაც დაიჭერდნენ.**

**მთავარმა პროკურორმა მკაფიოდ ამიღწერა როგორ ტირის დედაჩემი ყოველ დღე, როგორ უჭირს ჩემს ოჯახს. პროკურორმა მითხრა, რომ სანამ ღარიბაშვილის მთავრობა ხელისუფლებაში იქნება და ღარიბაშვილი დიდხანს აპირებს ხელისუფლებაში ყოფნას, მე ციხიდან ვერ გავალ“,** — განაცხადა ვანო მერაბიშვილმა.

ამ განცხადების შემდეგ მერაბიშვილმა ნახევარსაათიანი შესვენების შუამდგომლობით მიმართა მოსამართლეს. მოსამართლემ მერაბიშვილის შუამდგომლობა ნაწილობრივ დააკმაყოფილა და მას 15-წუთიანი შესვენება მისცა. შესვენების დასრულების შემდეგ მერაბიშვილმა კიდევ ერთი შუამდგომლობით მიმართა მოსამართლეს და მოითხოვა თავისი ადვოკატების აცილება. შესაბამისად, ისინი მერაბიშვილის ინტერესებს არ დაიცავენ. დღეიდან ბრალდებული მერაბიშვილის ინტერესებს სასამართლოზე სახაზინო წესით დანიშნული ადვოკატი დაიცავს.

დაცვის მხარე მოითხოვს მატროსოვის ციხეში არსებული იმ სათვალთვალო კამერების გადმოცემას, რომელსაც წესით უნდა ჰქონდეს დაფიქსირებული მერაბიშვილის გადაადგილება. ადვოკატმა დავით ხაჟალიამ ამ მოთხოვნით უკვე მიმართა სასჯელაღსრულების დეპარტამენტს და საქმეზე გამოძიების დაწყება მოითხოვა.

სასჯელაღსრულების სამინისტროში არ აკონკრეტებენ, გადაიყვანეს თუ არა ყოფილი პრემიერ-მინისტრი ვანო მერაბიშვილი საკნიდან სასჯელაღსრულების დეპარტამენტში. იმ შემთხვევაში თუ ამ საკითხთან დაკავშირებით დაიწყება გამოძიება, სამინისტრო მზად არის, ყველა კითხვას გასცეს პასუხი და ითანამშრომლოს გამოძიებასთან.

**„ბატონი ვანოს განცხადება უცნაური ჟღერადობის და არადამაჯერებელია. ის ამბობს, რომ ემუქრებიან პირობების გაუარესებით. ამას ამბობს ადამიანი, რომლის მდგომარეობას ციხეში რეგულარულ მონიტორინგს უტარებენ როგორც ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები, ასევე სახალხო დამცველი, ევროპარლამენტარები, ევროპის სახალხო პარტია და ასე შემდეგ. ამდენად, ეს არის აბსურდი“,** — განაცხადა ირაკლი კორძაიამ.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ მერაბიშვილის მიერ გაკეთებულ განცხადებასთან დაკავშირებით მოითხოვს გამოძიების დაწყებას, ხოლო გამოძიების დასრულებამდე იმას, რომ უფლებამოსილება შეუჩერდეთ მთავარ პროკურორ ფარცხალაძეს და სასჯელაღსრულების მინისტრს სუბარს. გარდა ამისა, რაც ყველაზე საინტერესოა, „ნაციონალური მოძრაობა“ ითხოვს, რომ გასაჯაროვდეს ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების ფაქტთან დაკავშირებით ყველა ძველი და შესაძლო ახალი გარემოება.

**„არ გამოვრიცხავ, რომ იგივე ზურაბ ჟვანიას დაცვის ყოფილი უფროსი კობა ხარშილაძე ჟვანიას საქმესთან დაკავშირებით იყოს დაკავებული. იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომელსაც აქვს დღეს ადგილი, ჩვენ ცხადად ვხედავთ, რომ სრულიად შესაძლებელია ეს დაკავებაც დაკავშირებული იყოს ამ საქმესთან. ხელისუფლებამ მრავალჯერ გამოიყენა პოლიტიკური მიზნით ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების გარემოებები, ეს მოხდა ამ არჩევნების წინაც. არ არის გამორიცხული, კიდევ სხვა ადამიანებიც დააკავონ, რომ როგორმე მოხდეს ზურაბ ჟვანიას საქმის ფაბრიკაცია“,** — აცხადებს უმცირესობის წევრი ნუგზარ წიკლაური.

მთავარ პროკურატურაში ადასტურებენ, რომ ყოფილი-პრემიერის გარდაცვალების საქმეზე საგამოძიებო მოქმედებები აქტიურ ფაზაშია შესული. როგორც პროკურატურაში აცხადებენ, ამ ბოლო დროს გახშირდა სპეკულირების ფაქტები სხვადასხვა პირის მხრიდან ყოფილი პრემიერის ზურაბ ჟვანიას საქმეზე, რასაც მთავარი პროკურატურა ამ საქმეზე საგამოძიებო ქმედებების გააქტიურებას უკავშირებს.

ფაქტს გამოეხმაურა პრემიერ-მინისტრი. ირაკლი ღარიბაშვილი არ გამორიცხავს, რომ მერაბიშვილის მიერ სასამართლოში გაკეთებული განცხადება ხელისუფლების დისკრედიტაციის მცდელობა იყოს.

**„მერაბიშვილის განცხადება არასერიოზულია და ახალი ხელისუფლება მსგავსი მეთოდებით არ მუშაობს. არსებობს მთელი რიგი პროცედურები და ამას გამომძიებლები გამოიძიებენ. ამ საქმეში ჩემზე უკეთესი რესპონდენტები ფსიქოლოგები და ფსიქოანალიტიკოსები არიან და ისინი გააკეთებენ კომპეტენტურ კომენტარს.**

**შესაძლოა, ეს იყოს ახალი პროკურორის დისკრედიტაციის მცდელობა, ან მერაბიშვილის გადაჭარბებული შიში. მე მოვისმინე, რომ დააკავეს ძველი თბილისის გამგეობის თანამშრომელი, რომელიც წარსულში იყო ჟვანიას მძღოლი, თუ პირადი დაცვა. და მეორე, — მერაბიშვილი ცდილობს, დააშანტაჟოს მისი ყოფილი ხელმძღვანელი მიხეილ სააკაშვილი. მერაბიშვილმა საყურადღებო აქცენტები გაიკეთა ზურაბ ჟვანიას ბუნდოვანებით მოცულ გარდაცვალებასთან და სააკაშვილის ფინანსურ რესურსებთან დაკავშირებით“,** — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

იუსტიციის მინისტრი მიიჩნევს, რომ მერაბიშვილის დღევანდელ განცხადებას სერიოზული პასუხი უნდა გაეცეს.

**„ძალიან მიკვირს, წარმოუდგენელიც კი მგონია, რომ ამგვარი რამე მომხდარიყო, თუნდაც სასჯელაღსრულების დეპარტამენტში, სადაც თვისობრივად სხვა მეთოდებით მუშაობენ და მით უმეტეს, მთავარ პროკურორს გამოეყენებინა ამგვარი მეთოდი. მე ეს მიმაჩნია გამორიცხულად. რაკი ეს განცხადება გაკეთდა, ამას სერიოზულად უნდა მოვეკიდოთ და არ უნდა მოვეკიდოთ ისე, როგორც წინა ხელისუფლება აკეთებდა — ყოველგვარი სერიოზული მიდგომის გარეშე, როდესაც ამბობდა, რომ მის გარდა ყველა დანარჩენი იტყუებოდა.**

თამთა ქარჩავა

# უკანონო შემოსავლები თუ პრემიერის მკვლელობაში თანამონაწილეობა?

## ზურაბ ჟვანიას დაცვის უფროსი დაკავებულია

**სამეწარმეო საქმიანობაში უკანონო მონაწილეობისა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე ძველი თბილისის რაიონის ყოფილი გამგებელი ლაშა ფურცხვანიძე და მისი ყოფილი მოადგილე კობა ხარშილაძე დააკავეს. ბრალის დამტკიცების შემთხვევაში დაკავებულებს 9-დან 12 წლამდე პატიმრობა ემუქრებათ. საგამოძიებო ორგანოების მხრიდან განხორციელებულ პოლიტიკურ ზეწოლაზე საუბრობენ თბილისის მერიაში. გიგი უგულავა სახალხო დამცველს და არასამთავრობო ორგანიზაციებს მოუწოდებს , რომ მონიტორინგი გაუწიონ ამ საქმეებს, რომ საგამოძიებო ორგანოების მხრიდან არ დარჩეს პასუხგაუცემელი შეკითხვები.**

გამოძიებით დადგინდა, რომ ძველი თბილისის რაიონის გამგებლმა ლაშა ფურცხვანიძემ და მისმა მოადგილე კობა ხარშილაძემ 2007 წლის 1 მაისს ნაცნობების — მარინა მურცხვალაძის, მამუკა მურვანიძის, გელა ქავთარაძის და კობა ყორღანაშვილის მეშვეობით დააფუძნეს შპს „გრინსერვისი“, რომლის ფაქტობრივი მფლობელები და ხელმძღვანელებიც მისი დაფუძნების დღიდან იყვნენ თვითონ.

ძველი თბილისის გამგეობის სატენდერო კომისიის წევრები ფურცხვანიძე და ხარშილაძე ტენდერს აცხადებდნენ სწორედ მათი დავალებითა და მათ მიერვე შედგენილი ხარჯთაღრიცხვებით, შპს „გრინსერვისი“ ინტერესთა კონფლიქტის ვითარებაში მონაწილეობდა და იმარჯვებდა ძველი თბილისის გამგეობის მიერ გამწვანებით სამუშაოებზე გამოცხადებულ სახელმწიფო შესყიდვებში, რომელიც ცხადდებოდა უშუალოდ იმ ოდენობისა და სახეობის ხე-მცენარეებზე, რომელიც წინასწარ შეძენილი ჰქონდა კომპანიას.

**გამოძიებით დადგენილია, რომ 2010 წლის 16 ნოემბერს საზოგადოების რეალურმა დამფუძნებლებმა შეცვალეს საწარმოს ფიქციური დამფუძნებლები და თანაბრად გაიყვეს ფირმის 100-პროცენტიანი წილი, მიუხედავად იმისა, რომ იმ მომენტისათვის საწარმოს კაპიტალი შეადგენდა 1 381 487 ლარს, წილებზე საკუთრების მოპოვების კანონიერად წარმოჩენისათვის შეადგინეს წილის ნასყიდობის ხელშეკრულებები 100 პროცენტი წილის 400 ლარად შესყიდვის თაობაზე.**

**წილების ოფიციალურად გადაფორმების შემდეგ, 2011 წლის 10 თებერვალს, იმავე წლის 1 ნოემბერს და 2012 წლის 25 იანვარს ლაშა ფურცხვანაძემ და კობა ხარშილაძემ სამ ეტაპად განახორციელეს შპს „გრინსერვისის“ მეშვეობით უკანონოდ მიღებული შემოსავლებისთვის კანონიერი სახის მიცემა 1 927 237 ლარის დივიდენდად გატანის გზით.**

თბილისის მერიაში განმარტავენ, რომ ამ საკითხზე გამოძიება არ დაწყებულა ახალი ხელისუფლების პერიოდში. როგორც მერიაში განმარტავენ, თავის დროზე კომპანია „გრინსერვის“-ის საქმიანობასთან დაკავშირებით მწვავე რეაქცია ჰქონდა თბილისის მერსაც, რომლის გადაწყვეტილებითაც 2012 წლის მაისში თბილისის მთავრობის სხდომაზე გაუქმდა აღნიშნულ კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულება, ხოლო საქმის მასალები შემდგომი შესწავლისთვის საგამოძიებო ორგანოებს გადაეგზავნა.

**„საგამოძიებო სამსახურმა დააკავა პირები, რომლებიც ამ საქმეზე წელიწადნახევრის განმავლობაში არაერთხელ დაიკითხნენ, მათ არ უცდიათ გამოძიებისთვის ხელის შეშლა ან მიმალვა. შესაბამისად, 2007 წელს ჩადენილი დანაშაულის გამო მათი დღეს დაკავება გარკვეულ ეჭვსა და შეკითხვებს ბადებს. განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც ერთ-ერთი დაკავებული, კობა ხარშილაძე, პროკურატურას არაერთხელ დაკითხული ჰყავს საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების საქმეზე“,** — განმარტავენ მერიაში.

გარდა ამისა, წინასაარჩევნო პერიოდში თბილისის განვითარების ფონდიდან თანხების ხარჯვასთან დაკავშირებით 6 საათის განმავლობაში გაგრძელდა ქვემო ქართლის ფინანსური პოლიციის საგამოძიებო სამსახურში თბილისის მერიის მაღალჩინოსნების — დავით ავალიანის, დავით ალავიძის, დიმიტრი ჩხაიძისა და ალექსი თაბუაშვილის დაკითხვა. გამოძიებამ კიდევ ერთხელ დაზუსტა მათი ჩვენებები. თავად დაკითხვიდან გამოსულებს კომენტარი არ გაუკეთებიათ.

თბილისის მერის მოადგილის ირაკლი აბესაძის განცხადებით კი, მათი დაკითხვის მიზანი იყო ის, რომ ჩვენება მიეცათ თბილისის მერის გიგი უგულავას წინააღმდეგ, რაც არ მოხდა.

საპარლამენტო უმრავლესობაში კი თვლიან, რომ ზურაბ ჟვანიას დაცვის ყოფილი უფროსის წინაშე წინა ხელისუფლების წარმომადგენლები დიდ ვალში იყვნენ.

**„როდესაც „გრინსერვისის“ საკითხი აქტუალური ხდებოდა, ჯერ კიდევ 4 წლის წინათ, მე პირველსავე პრესკონფერენციაზე აღვნიშნე, რომ კომპანიის უკან მდგარი პირის, კობა ხარშილაძის მიმართ წინა ხელისუფლების წარმომადგენლები დიდ ვალში იყვნენ და მისი „გრინსერვისის“ უკან დგომა მის დუმილს ემსახურებოდა. უკვე დიდი ხანია, ამ ადამიანის მიმართ ჩამოყალიბებული მაქვს აზრი, თუმცა, არ ვიცი, კონკრეტულად რა მიზეზის გამო აიყვანა იგი პროკურატურამ“,** — განაცხადა თინა ხიდაშელმა.

მერიის თანამშრომლების დაკავებას ეხმაურება რეჟისორი გოგა ხაინდრავა, რომლის განცხადებით მერიის ყოფილი მაღალჩინოსანი კობა ხარშილაძე პროკურატურას ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების საქმის გამოძიების ფარგლებში აქამდეც უნდა დაეპატიმრებინა, რადგან ის ჟვანიას დაცვის უფროსი იყო და ყოფილი პრემიერ-მინისტრის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობა სრულად ეკისრებოდა.

**„ამ კაცმა ზურას ჯიბიდან გასაღები მოიპარა და მისი ორივე სეიფი გაძარცვა. ჟვანიას გარდაცვალების საქმეზე არასწორი ინფორმაციის გავრცელების ხელშეწყობისთვის მან ყოფილი ხელისუფლებისგან სხვადასხვა პრივილეგიები მიიღო და მისი კარიერული წინსვლაც აღნიშნულ ფაქტს უკავშირდება. კობა ხარშილაძემ პრეზიდენტის ცოლთან ერთად გამწვანებაში უამრავი ფული იშოვა და ზურას მკვლელობის შემდეგ სულ რომ წინ და წინ მიდიოდა, ეს სწორედ იმაზე მეტყველებს, რომ ის ერთ-ერთი სულის ჩამდგმელია ამ მკვლელობის და მონაწილეც. რა თქმა უნდა, ეს პოლიტიკური მკვლელობა ჩაიდინეს სააკაშვილმა, უგულავამ, მერაბიშვილმა და ადეიშვილმა“,** — აცხადებს ხაინდრავა.

თამთა ქარჩავა

◎ ძალისმიერი სამჭიდი

# ხუთეულის 14 ჯილდო

**ძართველი ათლეტები ძალისმიერ სამჭიდში არაერთი შეჯიბრებიდან დაბრუნებულან ხელდამშვენებული. ტრადიციას მათ არც წლეულს უღალატეს და ხუთმა სპორტსმენმა ფინური ტამპერედან მსოფლიოს ჩემპიონატის 14 ჯილდო ჩამოიტანა. შეჯიბრებაში 26 ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.** ცნობილი სპორტსმენისა და მეცნიერის – ზურაბ ჭავჭანიძის ხელმძღვანელობით ოთხი ჩვენებური იბრძოდა სხვადასხვა სინჯის მედლებისთვის. შეგირდებს მაგალითი თვით მთავარმა მწვრთნელმა უჩვენა: ვეტერანთა შორის ოთხ სახეობაში – ძალისმიერ სამჭიდში (500 კგ), ორჭიდში (400), წოლჭიმსა (155) და ამოწევაში (245) ოქროს მედლები მოიპოვა. ჯილდოების რაოდენობით ოსტატს მცირედით ჩამორჩა დავით ჩითინაშვილი (90 კგ), რომელმაც 23-წლამდელებში სამი ოქროს მედალი დაიმსახურა: წოლჭიმში (180 კგ), ამოწევასა (240) და ორჭიდში (420). უფროსებში ორი ოქროს მედალი ერგო ზურაბ თავართქილაძეს (100 კგ) – ძალისმიერ ორჭიდსა (460, მსოფლიოს რეკორდი) და ამოწევაში (290); ორი ოქროს (ორჭიდი – 440, ამოწევა – 250 კგ), თითო ვერცხლისა (წოლჭიმი – 190) და ბრინჯაოს (ძალისმიერი სამჭიდი – 720) მედალი მოუტანა საქართველოს დელეგაციას გიორგი დავითაშვილმა (125), ხოლო ავთანდილ ხელაშვილი (90) თითო ვერცხლსა (წოლჭიმი) და ბრინჯაოს (ძალისმიერი ორჭიდი) დასჯერდა. ოთხივე ქართველი სპორტსმენიცა და მთავარი მწვრთნელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ათლეტური კლუბის წევრები არიან. სწორედ ქვეყნის მთავარი უმაღლესი სასწავლებლის მესვეურებმა შეუწყვეს ხელი ათლეტთა ფინეთში გამგზავრებას.

**ლექსო ცინცაძე**

**სურათზე: (მარცხნიდან) ზურაბ თავართქილაძე, ზურაბ ჭავჭანიძე, ავთანდილ ხელაშვილი, გიორგი დავითაშვილი და დავით ჩითინაშვილი.**

◎ სპორტი და ხელოვნება

# მილანის ფესტივალზე პირველობა ერგო

**ძართული ფეხბურთის საუკუნოვან ისტორიას ასახავს კინორეჟისორ გოგი თორაძის 30-წუთიანი სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ჩვენი ფეხბურთი“ (სცენარის ავტორი – აკაკი გვიმრაძე, წამყვანი – კახი კავსაძე, კომპოზიტორი – ვაჟა აზარაშვილი, დირექტორი – ნუგზარ რუხაძე), რომელიც წლეულს ნოემბერში ტაშკენტის საერთაშორისო კინოფესტივალზე („სპორტი კინოსა და ტელევიზიაში“) საუკეთესო დო-**

**კუმენტურ ნამუშევართა შორის დაასახელეს და მილანის კინოფესტივალის საგზური მოიპოვა.** რამდენიმე დღის წინათ კი ფილმს ახალი წარმატება ხვდა: იტალიის ქალაქ მილანში ჟიურიმ ქართველი კინორეჟისორის ნამუშევარი მაღალ დონეზე შეაფასა და მსოფლიოს 54 ქვეყნის სპორტის თემატიკაზე შექმნილ 150-მდე ფილმს შორის „ჩვენს ფეხბურთს“ საერთაშორისო ფესტივალის ლაურეატობა მიანიჭა. „რაც კინემატოგრაფში მოვედი, მას შემდეგ ვფიქრობდი, ქართულ ფეხბურთზე ფილმი შემექმნა. ბედნიერი ვარ, რომ გულისხმიერი ადამიანების დახმარებით ეს ოცნება ავიხდინე“, – გვითხრა გოგი თორაძემ, რომელსაც იტალიიდან დაბრუნების შემდეგ სპორტის სამინისტროში შეხვედრა მოუწყვეს. ლაურეატ რეჟისორს წარმატება მიულოცეს სპორტის მინისტრმა ლევან ყიფიანმა, სპორტის დეპარტამენტის უფროსმა ირაკლი დოლაბერიძემ, სეოკ-ის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა ელგუჯა ბერიშვილმა, კომპოზიტორმა ვაჟა აზარაშვილმა, სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტმა გია გორგოძემ, ცნობილმა სპორტულმა კომენტატორმა ჯამლეტ ხუხაშვილმა.

**ლაშა დიდია**

◎ ნეტარ არიან მორწმუნენი

# ბუფონი ჩემპიონთა ლიგის მოგებაზე ოცნებობს

**ტურინის „იუვენტუსის“ კარის დარაჯი ჯანლუიჯი ბუფონი ჩემპიონთა ლიგის მოგების იმედს არ კარგავს მიუხედავად იმისა, რომ მისი გუნდი ამ ტურნირზე მიმდინარე სეზონში ვეღარ ითამაშებს.**

„ისევე, როგორც გასულ წლებში, ჩემპიონთა ლიგის მოგებაზე ახლაც ვოცნებობ. ამ ტურნირზე გამარჯვება ჩემი მიზანი და ოცნებაა, რომლის ასრულების იმედს არ ვკარგავ.

მიმაჩნია, რომ ჩვენი გუნდი ევროტურნირებზე წარმატებით თამაშისთვის მზადაა. „იუვენტუსს“ ჩემპიონთა ლიგაში მოთამაშე გუნდებისთვის წინააღმდეგობის გაწევა შეუძლია, თუმცა „ბაიერნს“, „ბარსელონასა“ და „რეალს“ უფრო მეტი ვარსკვლავი ჰყავთ.“ – ციტირებს ბუფონის სიტყვებს Corriere dello Sport-ი.

შეგახსენებთ, რომ „იუვენტუსმა“ ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშებაში ჯგუფური ეტაპი ვერ დაძლია.

**კობა კობახიძე**

◎ რაც დათესა...

# ადრიანის ახალი კონტრაქტი „ატლეტიკოსთან“

**მადრიდის „ატლეტიკოს“ თავდამსხმელმა ადრიან ლოპესმა კლუბთან კონტრაქტი გაახანგრძლივა.**

მადრიდელთა ოფიციალური ვებგვერდის ინფორმაციით, 25 წლის ფეხბურთელმა ახალი ხელშეკრულება 2018 წლამდე დადო. მანამდე არსებული კონტრაქტი ადრიანს 2015 წელს უმთავრდებოდა. მიმდინარე სეზონში მან 11 მატჩი ჩაატარა და ერთი გოლი გაიტანა.

„ადრიანი საუცხოო ფეხბურთელი და ადამიანია. ის ჩვენი გუნდისთვის მომავალშიც ყველაფერს გააკეთებს“ – განაცხადა კონტრაქტის გაფორმების შემდეგ „ატლეტიკოს“ პრეზიდენტმა ენრიკე სერესომ.

**როსტომ რაჭველიშვილი**

◎ კვამლი უცეცხლოდ?!

# გატუზო: თუ დანაშაული დამიმტკიცდა, თავს მოვიკლავ!

**„მილანის“ ყოფილი ნახევარმცველი ჯენარო გატუზო აცხადებს, რომ თუ სამართალდამცავებმა მას მატჩების გარიგებაში მონაწილეობა დაუმტკიცეს, ის მზადაა ცხოვრება თვითმკვლელობით დაასრულოს.**

**„მინდა ერთ რამეს ნათელი მოვფინო: გარიგებულ მატჩში მონაწილეობა არასდროს მიმიღია. ეს არც კი მიფიქრია.**

მზად ვარ, იმ შემთხვევაში, თუ დანაშაული დამიმტკიცდა, ქალაქის ცენტრში გავიდე და თავი მოვიკლა. ბოლოს და ბოლოს, ჩემი ცხოვრება აზრს დაკარგავს. გამბედაობა არ მეყოფა ხალხს თვალებში შევხედო. ამას გულწრფელად ვამბობ.

ჩანაწერები აჩვენებს, რომ ბუკმეიკერმა ბაცანიმ 13 მოკლე ტექსტური შეტყობინება გამომიგზავნა, მაგრამ ასევე ცნობილია, რომ არცერთი მათგანისთვის არ მიპასუხია.

მთელი კარიერის განმავლობაში თავდაუზოგავად ვმუშაობდი. საკუთარი ფონდის დახმარებით ბავშვების დასახმარებლად 1,5 მილიონი ევრო გამოვყავი. ახლა კი მაბრალებენ, რომ გარიგებული თამაშების წყალობით მეტი ფულის შოვნა მსურდა.“ – იმეორებს გატუზოს სიტყვებს Sportmediaset-ი.

17 აპრილს იმ საფეხბურთო მატჩების სია გამოქვეყნდა, რომლებსაც იტალიის პროკურატურა საეჭვოდ მიიჩნევს. ერთ-ერთი ეჭვმიტანილი ჯენარო გატუზოა, რომლის ბინაც სამართალდამცავებმა უკვე გაჩხრიკეს.

**გიორგი შოთაძე**

◎ ინტერნეტიდან

# ცნობილი სპორტსმენები ქალთა უფლებების შესახებ

**ქალთა უფლებების დამცველმა ერთ-ერთმა ევროპულმა ორგანიზაციამ გადაწყვიტა სპეციალური წიგნი გამოსცეს, სადაც ცნობილი სპორტსმენი ქალები საკუთარი ისტორიების შესახებ პროზაული სახით ისაუბრებენ და ამ გზით ეცდებიან, რომ ჩაგრული ქალები მათ უფლებებს აზიარონ.**

ზემოთაღნიშნული იდეის ერთ-ერთი ავტორი, ქალთა უფლებადამცველი, ვინმე ჯულია სანტანა ამბობს, რომ წარმატებული და ცნობილი ქალი სპორტსმენები ბევრი ქალისათვის არიან მისაბაძნი და მათი მაგალითი შესაძლებელია მრავალი დადებითი ფაქტორის საფუძველი გახდეს.

როგორც უკვე ცნობილია, პატარა ავტობიოგრაფიულ მოთხრობებს დაწერენ ცნობილი ჩოგბურთელი ქალები მარია შარაპოვა, ანა ივანოვიჩი და შტეფი გრაფი. ქალთა უფლებადამცველები ამ პროექტში სპორტის სხვა სახეობებში მოღვაწე ქალების ჩართვასაც აპირებენ და, როგორც ნავარაუდევია, ეს წიგნი საკმაოდ დიდი მოცულობისა გამოვა.

**ვიტალი ჯაფარიძე**

◎ ალბათ, ასეცაა

# მარადონა: „ოქროს ბურთს“ რონალდუ იმსახურებს

**ლეგენდარული არგენტინელი ფეხბურთელი დიეგო მარადონა მიიჩნევს, რომ 2013 წელს „ოქროს ბურთს“ არა მისი თანამემამულე ლიონელ მესი, არამედ პორტუგალიელი კრიშტიანუ რონალდუ იმსახურებს.**

„ოქროს ბურთი“ კრიშტიანუ რონალდუმ უნდა მიიღოს. მესიმ ტრავმის გამო წელს ბევრი თამაში გამოტოვა.“ – ხაზს უსვამს მარადონას სიტყვებს Marca.

**გეჟან დოლიძე**

◎ პერსპექტივა

# ხედირა „რეალთან“ 2018 წლამდე გაახანგრძლივებს

**გერმანელი ნახევარმცველი სამი ხედირა, რომელსაც მადრიდის „რეალთან“ კონტრაქტი 2015 წლის ზაფხულში უმთავრდება, უახლოეს პერიოდში კლუბთან ხელშეკრულებას გაახანგრძლივებს.**

ესპანური El Confidencial-ის ინფორმაციით, ხედირა მადრიდულ კლუბთან კონტრაქტს 2018 წლამდე დადებს.

ოფიციალურად მხარეები შეთანხმებას ხელს მომავალი წლის იანვარში მოაწერენ. გამოცემის ინფორმაციით, „რეალის“ პრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმა გერმანელ ფეხბურთელთან კონტრაქტის გახანგრძლივება მას მერე გადაწყვიტა, რაც ხედირამ ზაფხულის სატრანსფერო ფანჯრის ბოლო დღეს „მანჩესტერ იუნაიტედში“ გადასვლაზე უარი თქვა.

სავარაუდოდ, ხედირას ხელფასი წელიწადში 3,5 მილიონი ევრო იქნება სხვადასხვა სახის ბონუსების გამოკლებით.

ამჟამად ხედირა ტრავმირებულია და შესაძლოა მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატიც გამოტოვოს.

**მანუჩარ გიორგაძე**

SIC!

**შესაძლოა, რუსეთმა ქართული სოფლის მეურნეობის პროდუქციის ხელოვნურად შეძენა დაიწყოს, შემდეგ კი, მოლდოვის მსგავსად, ემბარგო შემოიღოს. ეს საქართველოს მოსახლეობის უკმაყოფილებას გამოიწვევს და გამორიცხული არაა, პროდასავლური ორიენტაციის გამო ხელისუფლების მიმართ პრეტენზიები გაჩნდეს. ასეთ პროგნოზს აკეთებს პოლიტოლოგი კორნელი კაკაჩია.**

ამასთან, ეჭვობს, რომ შესაძლოა, რუსეთის მხრიდან საქართველოზე ზემოქმედების მეორე ბერკეტი კონფლიქტურ რეგიონებთან დაკავშირებით, ჩვენს ხელისუფლებასთან ვაჭრობის დაწყება იყოს, რაც ევრაზიულ კავშირში განევრიანების სანაცვლოდ, რაღაც ფორმით ტერიტორიების დაბრუნებასაც გულისხმობდეს.

„2008 წლის აგრესიის შემდეგ რუსეთმა საქართველოს პოლიტიკაზე პირდაპირი ზეგავლენა დაკარგა. ფაქტობრივად, აღარაფერი დარჩათ გასაკეთებელი. აქედან გამომდინარე, რუსეთის დიდი თავისტკივილია, საქართველოზე ზეგავლენის შენარჩუნების მიზნით, რაიმე ბერკეტის ამოქმედება. პირობითად, რა შეიძლება გააკეთოს რუსეთმა? ის, რომ გაიხსნა რუსული ბაზარი და სოფლის მეურნეობის პროდუქტების გატანა შეიძლება, რუსეთმა ეს ფაქტორიც შეიძლება გამოიყენოს. ცხადია, შემოსავლის გარეშე დარჩენილი ქართველი გლეხი კმაყოფილი იქნება, თუკი ყოველთვიურად, ვთქვათ, 500 ლარის შემოსავალს მიიღებს ციტრუსის ან სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტის რუსეთში გაყიდვის ხარჯზე. თუმცა, თუ ცოტა ხანში ეს ბაზარი დაიკეტება, ის ამას ვერ გაიგებს და ჩვენს ხელისუფლებაზე გაბრაზდება. არადა, გამორიცხული არ არის, რომ ერთი წლის შემდეგ, როდესაც ჩვენთან დაიწყება მოლაპარაკება ასოცირებული ხელშეკრულების ხელმოწერის შესახებ, რუსეთი ხელახლა დააწესებს ემბარგოს და ეს ძალიან მტკივნეული იქნება ქართული სოფლებისთვის. ასე მოხდა მოლდოვის შემთხვევაშიც. ასოცირების ხელშეკრულების შორსმიმავალ პერსპექტივას ვერ გაიგებს ჩვენი გლეხი, უახლოეს ვადებში მას ფინანსური პრობლემები შეექმნება, ევროკავშირის ბაზარზე პროდუქციის გატანას კი დიდი დრო დასჭირდება. ამიტომ, ეს იქნება ძალიან მტკივნეული პროცესი, როცა ადამიანს შეჩვეულ ბაზარს შეუწყვიტავ", — აღნიშნა კორნელი კაკაჩიამ For.ge-სთან საუბარში.

აქვე არ გამორიცხა, რომ ეს თემა ადვილად მანიპულირებადი გახდება პოლიტიკური ძალების მხრიდან. განსაკუთრებით, საუბარია იმ ძალებზე, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ რუსეთთან სულ სხვა ურთიერთობებია საჭირო და აუცილებელია ევრაზიულ კავშირში შესვლა.

ექსპერტის აზრით, საფრთხე არსებობს და ამის გაკეთება რუსეთს არაფერი დაუჯდება. უფრო მეტიც, ჩვენი პროდუქციის ფასი ერთი ლარიც რომ იყოს, რუსეთს შეუძლია, პროდუქცია ორ ლარად ჩაიბაროს, ხელოვნური ბაზარი გააჩინოს და ქართული მოსახლეობის მასზე დამოკიდებულება გაზარდოს. თუმცა, ცხადია, ეს ბაზარი პოლიტიკურად ანგაჟირებული და პოლიტიკურ კონიუნქტურაზე მორგებული იქნება. ამიტომ იგი იმედოვნებს, რომ ჩვენი მთავრობის წევრებს ეს გათვლილი ექნებათ და, ალბათ, სხვადასხვა ვარიანტიც არსებობს, რომ რუსეთის ბაზარზე ზედმეტად დამოკიდებულნი არ ვიყოთ და დივერსიფიკაცია განხორციელდეს.

„პირობითად, კილო მანდარინი თუ ჩვენთან 30 თეთრი ღირს, რუსეთმა შეიძლება 2 ლარად იყიდოს, ისე, რომ ეს მას არაფერში სჭირდებოდეს, რადგან რუსეთის ბაზარზე უამრავი მანდარინია, დაწყებული ალჟირიდან, მაროკოდან და სხვა. ქართული მანდარინის გარეშე თუ აქამდე გაძლეს, ამის შემდეგაც მშვენივრად იქნებოდნენ და ბორჯომის გარეშეც გაძლებდნენ. მაგრამ ისინი იყიდიან ამ პროდუქტს და შემდეგ ხელოვნურად შექმნილი ბაზრით მანიპულაციას დაიწყებენ. როგორც ვიცი, ჩვენი მთავრობა აფრთხილებს ბიზნესმენებს, რომ რუსეთის ბაზარი რისკიანია, მაგრამ ეს ბაზარი განსაკუთრებით საფრთხილოა აგროსექტორში ჩართული ხალხისთვის, რომელთაც მართლაც არ აქვთ დიდი არჩევანი. მით უფრო, მოსახლეობის დიდი პროცენტია უმუშევარი და 50%-ზე მეტი სოფლის მეურნეობაშია ჩართული. ეს ვითარება კიდევ სამი-ოთხი წელიწადი რომ გაგრძელდეს და რეფერენდუმი ჩავატაროთ — ევროკავშირში თუ ევრაზიული კავშირი, მაშინ შეიძლება, სულ სხვა შედეგი მივიღოთ. უბრალო გლეხისთვის ევროპული ფასეულობები შეიძლება, ბევრს არაფერს ნიშნავდეს, რამდენადაც პრაქტიკული და პრაგმატული საკითხებია", — მიიჩნევს პოლიტოლოგი.

ამასთან, კონკრეტულ ფაქტსაც იხსენებს, როცა მსგავსი პრეცედენტი რუსეთმა ბალტიისპირეთთან მიმართებით გამოიყენა. კერძოდ, როდესაც ლატვიაში შედარებით პრორუსულად განწყობილი ხელისუფლება მოვიდა, ისინი ცუდი და კარგი პოლიციელის როლს თამაშობდნენ. ამიტომ ძალიან სიღრმეებში არ უნდა შევიდეთ და დამოკიდებულნი არ უნდა გავხდეთ რუსულ ბაზარზე. მით უფრო, გასათვალისწინებელია მოლდოვის, უკრაინის მაგალითი, სადაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს რუსული ბიზნესი. ასევე, მათ მთლიანად გადაფარეს უკრაინის ეკონომიკა, ხოლო სომხეთში რაც ხდება, კიდევ ცალკე თემაა. სომხეთში აბსოლუტურად ყველაფერი შესყიდული აქვთ რუსებს, დაწყებული რკინიგზიდან.

ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში პაატა შეშელიძე ეჭვობს, რომ ასეთი მიკროსკოპული მასშტაბის ოპერაციით იყოს დაკავებული რუსეთი. ამასთან, აცხადებს, რომ რუსებს არც ბალტიისპირეთში გამოუვიდათ რამე.

„ხომ წარმოგიდგენიათ, რა მასშტაბზეა საუბარი? ერთი მილიონი ამერიკული დოლარიც არ იქნება ამ ოპერაციის მასშტაბი. რა ლოგიკაა ამაში, ვერ ვხვდები. მეტი საქმე არ აქვს რუსეთს, ხელოვნური ემბარგოთი დაკავდეს. შვიდი წლის განმავლობაში არ გადიოდა მანდარინი რუსეთში და მერე რა მოხდა? ბოლოს და ბოლოს, შვიდ წელზე მეტი სრული ემბარგო გვქონდა. მეტი რა უნდა გააკეთოს რუსეთმა? სულაც არ არის საინტერესო, რას გააკეთებს ახლა რუსეთი, რადგან თავისუფლების ფასი არ აქვს არაფერს. ბევრად მეტია თავისუფლების ფასი, ამიტომ რამენაირად ავიტანთ ამ ემბარგოებს", — აცხადებს პაატა შეშელიძე და უფრო დიდ პრობლემას ქვეყნის შიგნით ხედავს:

**„შიდა პრობლემებია, შეცდომებს უშვებენ, თორემ რუსეთი ვერაფერს დაგვაკლებს"...**

**მარიამ ლოლაშვილი**

## „ქეტი საქმე არა აქვს რუსეთს, ხელოვნური ემბარგოთი დაკავდეს!

**„შიდა პრობლემებია, შეცდომებს უშვებენ, თორემ რუსეთი ვერაფერს დაგვაკლებს"**

სანთელი

# გულნარა ბრეგვაძე

**ქართულმა სამედიცინო საზოგადოებამ დიდი დანაკლისი განიცადა — გარდაიცვალა რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი, პროფესორი გულნარა ბრეგვაძე.**

**ქალბატონი გულნარა გახლდათ იმ თაობის წარმომადგენელი, რომელმაც აკად. მ. წინამძღვრიშვილის თაოსნობით, საქართველოში საფუძველი ჩაუყარა კარდიოლოგიას, როგორც დამოუკიდებელ დარგს. მიდის ეს თაობა და მათთან ერთად იხურება ქართული კარდიოლოგიური სკოლის შექმნის პირველი წიგნის ის ფურცლები, რომლებიც იწერებოდა მ. წინამძღვრიშვილის და მისი მოწაფეების მიერ.**

**ქალბატონი გულნარა ბრეგვაძე — მაღალი ზნეობრივი თვისებების მქონე, კაცთმოყვარე, სათნო და დიდი პასუხისმგებლობის მქონე ექიმი, ქალბატონი, რომელსაც თან სდევდა პაციენტების დიდი სიყვარული და პატივისცემა, მის თეთრ ხალათს არასოდეს მოსცხებია ანგარების ლაქა. მოსიყვარულე მეგობარი და მზრუნველი მასწავლებელი — ასეთი იყო გულნარა ბრეგვაძე ოჯახის გარეთ.**

**ქალბატონი გულნარა, ერთდროულად, ბრძანდებოდა იმ დიდი ქართული ოჯახის დიასახლისი და ტრადიციების გამგრძელებელი, რომელსაც დიდი ქართველი ექიმის, პედაგოგის და მეცნიერის გიგუცა დიდებულიძის ოჯახი ჰქვია; იგი იყო იმ (უპირველესად) დიდი ექიმის მეუღლე, რომელსაც თეიმურაზ (ფუსო) დიდებულიძე ერქვა. მათ ენით აუწერელ უბერებელ სიყვარულზე ლაპარაკობს ბატონი თეიმურაზის მიერ საკუთარი ხელით შექმნილი ფოტოალბომი, რომელსაც ამშვენებს წარწერა — გულნარა. ქალბატონი გულნარა და ბატონი თეიმურაზი ერთად ქმნიდნენ ინსტიტუტის და ჩვენი ქვეყნის შვილების მომავალს, უანგაროდ ემსახურებოდნენ თავის სამშობლოს, სიცოცხლის ბოლო წუთამდე პატივს მიაგებდნენ და არ ივიწყებდნენ ერთად შექმნილი წინამძღვრიშვილისეული კარდიოლოგიის ინსტიტუტის ტრადიციებს და სათუთად გადასცემდნენ მომავალ თაობებს.**

**დღეს ქალბატონი გულნარა განერიდა ამ საწუთროს. მისი სული გადავიდა იმ მარადიულობაში, რომელსაც სხვა ქვეყანა ჰქვია. უკან დარჩა სიკეთით სავსე განვლილი დღეები, მადლიერი მოწაფეები, მეგობრები და ახლობლები, რომლებიც ნათელი ხსოვნით შემოინახავენ მის სახელს. თქვენს მოწაფეებს მუდამ ემახსოვრებათ 16 მარტი. იმ დღეს ხომ ტრადიციულად ვსტუმრობდით თქვენს ოჯახს. ახლა უკვე ეკლესიაში ვესტუმრებით თქვენს ნათელ სულს, აგინთებთ სანთლებს და უფალს თქვენთვის შევთხოვთ სამუდამო სასუფეველს სამოთხეში.**

**კლინიკური კარდიოლოგიის ინსტიტუტი**

---

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ა. რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება თვალსაჩინო ქართველი მათემატიკოსის, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ა. რაზმაძის სახელობის პრემიის ლაურეატის, პროფესორ**

**ვასილ ბუღაძის**

**გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს.**

---

**აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და უმაღლესი საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა აფხაზეთის შინაგან საქმეთა და იუსტიციის ყოფილი მინისტრი**

**სერგო თუნგია**

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

---

მთას რომ სიცოცხლე დაუბრუნდეს

# პირიქითა ხევსურეთი და პირაქეთა ხევსურეთი გაერთიანდება

**პირიქითა ხევსურეთი პირაქეთა ხევსურეთს 25-კილომეტრიანი გზის მონაკვეთით დაუკავშირდება. ახალი სამშენებლო გზის პროექტის პრეზენტაცია საღამოს რუსთაველის თეატრში გაიმართა.**

ღონისძიებაში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე, რეგიონული განვითარების მინისტრი დავით ნარმანია, მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელი დირექტორი ელგუჯა ხოკრიშვილი და მსოფლიო ბანკის წარმომადგენელი ესწრებოდა.

ღონისძიებას ლიტერატურულ-თეატრალური სახე ჰქონდა და არხოტელი ხევსურების, მათი ცხოვრებისა და ტრადიციების შესახებ ვრცელ მასალას მოიცავდა, რომელიც წარმოდგენილი იყო ძირითადად დოკუმენტური კინოფირის, ლექსებისა და ჩანაწერების სახით.

ღონისძიებაზე ბარისახოს ეკლესიის მოძღვარმა, მამა იოსებ გაჩავამ მადლობა გადაუხადა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ამ პროექტის კურთხევისთვის, ასევე პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს, რეგიონული განვითარების მინისტრ დავით ნარმანიას, მუნიციპალური განვითარების ფონდისა და მსოფლიო ბანკის წარმომადგენლებს, რომლებმაც ძალისხმევა არ დაიშურეს და ამ პროექტს საფუძველი ჩაეყარა.

პრეზენტაციაზე ბარისახოში გზის მშენებლობის შესახებ, ასევე ამ დოკუმენტზე ხელმოწერა გააკეთეს ილია მეორემ, დავით ნარმანიამ. მასზე ხელმოწერა შეეძლო დარბაზში მყოფ ნებისმიერ პირს და ამით გამოეხატა თავისი დამოკიდებულება ამ გზის მშენებლობასთან და პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით.

პრეზენტაციაზე მყოფთ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა მიმართა. „ხევსურებო, არ შეგაშინოთ გაჭირვებამ. არანაკლები გაჭირვება უნახავთ მოხევეებს. მთავარი ის არის, რომ ჩვენ გაჭირვებას არ უნდა შევურიგდეთ. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ დავძლიოთ ეს გაჭირვება. ეს გზა იქნება გაჭირვებიდან გამოსვლის გზა. ღმერთმა დაგლოცოთ, ჩვენთან არს ღმერთი", — აღნიშნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა.

რეგიონული განვითარების მინისტრმა ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, რომ გზის მშენებლობა 2014 წელს დაიწყება. მანამდე ეს გზა საერთოდ არ არსებობდა და მხოლოდ საცხენოსნო ბილიკი გადიოდა. ახალი გზა არხოტამდე ჩავა. მინისტრის თქმით, ეს გზა ძალიან სტრატეგიული და ძალიან დიდი მნიშვნელობისაა და ტურისტული თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანია მისი მშენებლობა.

ამასთან, ჟურნალისტებთან პროექტის შესახებ კომენტარი გააკეთა მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა ელგუჯა ხოკრიშვილმა. მისი თქმით, გზის მშენებლობისთვის დაახლოებით 490 000 ლარია საჭირო. მიმდინარეობს მსოფლიო ბანკთან შეთანხმება და დოკუმენტაციის მომზადება, რათა აღნიშნულმა ბანკმა გზის მშენებლობა დააფინანსოს.

ინფორმაცია

## შსს-მ უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღო

**შსს ინფორმაციით, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის მე-2 მთავარი სამმართველოს 1-ლი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ბრალდებით 1990 წელს დაბადებული მურმან ლ. თბილისში, ფოთის ქუჩაზე დააკავეს.**

**გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებული ცეცხლსასროლ იარაღს და საბრძოლო ვაზნებს მეგობრის სარდაფში ინახავდა.**

**ექსპერტიზის დასკვნით, აღნიშნული სარდაფის ჩხრეკისას, ამოღებულია „კალაშნიკოვის" სისტემის „ა-კა-74" მოდელის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, რომელიც სროლისთვის ვარგისია, ასევე, 2 მჭიდი და „კალაშნიკოვის" სისტემის ავტომატებისთვის განკუთვნილი ქარხნული წესით დამზადებული 19 საბრძოლო ვაზნა.**

**დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.**

**ინტერპრესი**

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
*„საქართველოს რესპუბლიკაში"*
299-62-77; 599 32-85-76.

◎ დღესასწაული

# სვეტიცხოვლის კედელზე... სასწაულმოქმედი ნიკოლოზი გამოისახა!



**19 დეკემბერს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია ნიკოლოზობას დღესასწაულობს.**

წმინდა სასწაულმოქმედი ნიკოლოზი საქართველოს მფარველია. ამ ორიოდე წლის წინათ მისი სახე გამოისახა სვეტიცხოვლის დიდი ტაძრის ერთ-ერთ კედელზე. წმინდა მირონის მოხარშვისას სასწაულმოქმედის, მირონ-ლუკიის შემამკობლის, წმინდა მღვდელმთავრის კედელზე გამოსახვა საქართველოსთვის სიკეთის მომასწავებელია.

ის, რომ წმინდა ნიკოლოზი ადამიანებს საიდუმლოდ ეხმარება, ამის დამადასტურებელი უამრავი მაგალითი არსებობს.

...დიდუბის ტაძრის ჩრდილოდასავლეთ კედელზე წმინდა ნიკოლოზის ნიშასთან, ფრესკაზე ერთ-ერთ ეპიზოდზე მოგითხრობთ: თურმე ერთ ქალაქელ ვაჭარს სავაჭრო საქმე ცუდად წაუვიდა და სრულიად გაკოტრდა; მას 3 ქალიშვილი ჰყავდა. ამ დროს ვაჭარმა ისარგებლა რა ქალიშვილების სრულწლოვანებით და სილამაზით, მას თავში მოუვიდა სამარცხვინო აზრი, ლუკმა-პურის საშოვნელად ცუდ გზას დადგომოდნენ...

წმინდა ნიკოლოზმა ამის შესახებ შეიტყო და რათა სირცხვილისგან ეხსნა ვაჭარი და მისი ქალიშვილები, ერთხელ ღამით, ვაჭრის სახლთან მივიდა და ფანჯრიდან ოქროთი სავსე ტომარა გადაუგდო. გაკოტრებულმა ვაჭარმა ოქრო რომ ნახა, თავისი უფროსი ქალიშვილი გაათხოვა და საჭირო მზითევიც გაატანა... ასე განმეორდა მეორე ქალიშვილის გათხოვებისას. როცა მესამე ქალიშვილის მზითევისთვის მესამე ტომარა გადაუგდო, მაშინ კი დაუდარაჯდა და ყველაფერი გაიგო.

ვაჭარი ტირილით ფეხებში ჩაუვარდა და მადლობა გადაუხადა წმინდა ნიკოლოზს საშინელი ცოდვისა და სირცხვილისაგან მისი ოჯახის ხსნის გამო. ამის შემდეგ ვაჭარმა თავისი კეთილისმყოფელის მსგავსად, ხალხის დახმარება დაიწყო...

VI საუკუნის საკვირველმოქმედი წმინდა ნიკოლოზის შემწეობის შესახებ მოთხრობების რამდენიმე ტომი არსებობს.

**გიული ლიპარტია**

◎ ჩვენი პრესდაიჯესტი

## ვყშინაყ-ი ვარსკვლავთან

### „გია ხუხაშვილი და ლაშა ნაცვლიშვილი, შესაძლოა, დააპატიმრონ“

— ამბობს გაზეთ „ქრონიკა პლუსის“ რედაქტორი ელისო კილაძე, — სახელისუფლო კულუარებში უკვე მათ შესაძლო დაკავებაზე საუბობენ. ერთ დროს ბიძინა ივანიშვილის მფარველობის ქვეშ მყოფთა წინააღმდეგ საქმეც კი ყოფილა აღძრული. ნაცვლიშვილ-ხუხაშვილის დუეტის წინააღმდეგ, ერთ-ერთმა პირველმა, ჟურნალისტმა ელისო კილაძემ გაილაშქრა. ამის გამო ის ბიძინა ივანიშვილმა რამდენჯერმე დაგმო. თუმცა, ახლა საქმე სხვანაირად არის. ნაახალწლევს ის მორიგი სკანდალური მასალების გამოქვეყნებას აპირებს. მანამდე კი გამოძიების შედეგებს დაელოდება.

**„ახალი თაობა“**

### „ფარცხალაძემ პროკურატურა ადეიშვილის კადრებით გაავსო“

— აცხადებს ადვოკატი ნონა ფილაური, — დიახ, გაუშვეს კბილაშვილის კადრები, ისინი, ვინც ახალი დანიშნულები იყვნენ, რომლებმაც ვერ აღადგინეს სამართლიანობა, მაგრამ, სამწუხაროა, რომ მათ შორის იყვნენ პროფესიონალები. ვიმეორებ: დატოვეს ისეთი კადრები, რომლების მიმართაც ძალიან ბევრი კითხვა და პრეტენზია არსებობს... ადეიშვილის კადრები არც წასულან პროკურატურიდან. ვფიქრობ, პროკურატურა კვლავ დახურულ მონსტრად იქცა.

**„საქართველო და მსოფლიო“**

### „რაც არ უნდა გვედავონ და გვაკრიტიკონ, ხუდონი მაინც აშენდება“

**ახალ** გამოწვევებს საქართველოს ენერგეტიკული სექტორი გაბედულად ხვდება. ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, მიმდინარე პროექტებთან ერთად, ახალსაც გეგმავს და, ამ მხრივ, მისი პოზიცია საკმაოდ მყარი და პრინციპულია.

ერთ-ერთი ასეთი გამოწვევა უწყებისთვის ხუდონჰესის მშენებლობაა, რომელმაც საზოგადოებაში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. პროექტმა ეკონომიკური სექტორიდან პოლიტიკის რანგში გადაინაცვლა.

„ხუდონი აუცილებლად აშენდება“ — ასეთია ოპონენტების მიმართ ენერგეტიკის მინისტრის მოადგილის ილია ელოშვილის პასუხი, რომელიც ირწმუნება, რომ დღეს ხუდონზე მნიშვნელოვანი პროექტები არ არსებობს.

**„ალია“**

◎ დაიჯესტი

# „ახალგაზრდული ნამის“ ჯადოსნობა

**„ოთახში სუნამოს ვაფრქვევ და შემდეგ იქ დიდხანს დავდივარ“, — ასე აღწერდა თავისი ახალი არომატის გამოცდას საქვეყნოდ ცნობილი პარფიუმერი ესტერ დაუდერი.**

„ამერიკის პირველ ცხვირად“ წოდებული ქალბატონი ლაუდერი ამტკიცებდა, რომ ყოველ ახალ არომატს იგი „თვალნათლივ ხედავს“. პირველი სუნამო მან გასული საუკუნის შუა ხანებში, 1953 წელს შექმნა, რომელსაც „ახალგაზრდული ნამი“ დაარქვა. ახლა მძლავრ ინდუსტრიად (იგი მსოფლიო პარფიმერული ბაზრის 40 პროცენტს აკონტროლებს) გადაქცეული მორიდებული ბიზნესი ესტერ ლაუდერმა რამდენიმე ქოთნითა და თავისი ბიძის რეცეპტით დაიწყო, ახლა კი მისი 40-ზე მეტი კომპანიის ყოველწლიური შემოსავალი ორ მილიარდ დოლარს აჭარბებს.

საფრანგეთის უმაღლესი ჯილდოს საპატიო ლეგიონის კავალერი ესტერ დაუდერი თავის მესამე საიუბილეო გამოცემაში ავტორიტეტულმა „უოლ-სთრიტ ჯორნელმა“ „უდიდესთა გალერეაში“ ტელეფონის გამომგონებელ ალექსანდრე ბელთან და სახელგანთქმულ მულტიპლიკატორ უოლტ დისნეისთან ერთად შეიყვანა.

მეტად საგულისხმოა „ახალგაზრდული ნამის“ ამბავი. ქალბატონები მას აბაზანის ზეთად ხმარობდნენ და რვანახევარ დოლარად მთელი დღის მანძილზე ყველგან საამური სურნელება სდევდათ. მას ჰოლივუდელი ვარსკვლავები და მაღალი საზოგადოების ქალბატონები ხმარობდნენ, ჯონან კროუფორდმა კი ერთხელ განაცხადა, რომ სწორედ „ახალგაზრდული ნამის“ წყალობით „გააბა მახეში“ თავისი მეორე ქმარი. ისე კი, თავად მადამ ისტვუდზეც დადიოდა ჭორი, რომ სწორედ „ახალგაზრდული ნამი“ იყო მისი უერთგულესი „მოკავშირე“, როცა მან ოჯახიდან წასული ქმრის... ოთხჯერ (!) დაბრუნება შეძლო.

ესტერ ლაუდერი ქალისთვის უდიდეს მნიშვნელობას სახის მაკიაჟს ანიჭებდა — მან ეს სამწუთიანი პროცედურა ხელოვნების დონეზე აიყვანა და დაამტკიცა, რომ ამ მცირე ხანში თავისუფლად შეიძლება სრულფასოვანი მაკიაჟის გაკეთება, საამისოდ სულაც არ არის საჭირო საგანგებოდ სილამაზის სალონების სტუმრობა და იქ დროის ხარჯვა. „კარგად შერჩეული პომადა და ფერუმარილი სიმაღლესაც კი მოგიმატებთ“, — ამბობდა იგი.

**სილქნეტის მიზეზით 16 დეკემბრიდან რედაქციაში გათიშულია ინტერნეტი (გუშინდლამდე გათიშული იყო ტელეფონიც).**

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

◎ ცინცხალი ანეკდოტები

— რა მოგივიდა, მიხო, რად ხარ ასე მოწყენილი? — ეკითხება ძმაკაცი.

— მოწყენილი კი არა, გაბრაზებული ვარ.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ბავშვობაში ყველანი მატყუებდნენ.

— ვინ და რანაირად?

— ვინ და, მახსოვს ჩაიკეტებოდნენ ბაბუაჩემი და ბებიაჩემი ბნელ სააბაზანოში, მთელი სამი საათი არ გამოდიოდნენ იქიდან, რაღაც გამომჟღავნებლებიო, ფიქსაჟიო, გამამაგრებელიო, მერე კიდევ ფოტოები იყო ჩამოკიდებული თოკზე სამაგრებით... არადა, სინამდვილეში რა ადვილი ყოფილა — გადაიღე და მაშინვე გაუგზავნე ფოტო ვისაც გინდა, თურმე სულ ორი წუთის საქმეღა ყოფილა!

— მითხარით, ეს ევროგარეგნობა ევროპულია თუ ჩემია?

* * *

— მიხო, ნახე რას წერენ, კატები პირველად ჩინელებმა მოიშინაურესო...

— ყველაფერი გასაგებია, იქ ხომ ყველაფერს ჭამენ!

* * *

ბნელ სადარბაზოში:

— სიგარეტი გაქვს?

— არა.

— თუ აღმოგიჩინე?

— მაშინ კრივის მწვრთნელს ტყუილად დაუკარგავს დრო ჩემთან მუშაობით.

* * *

სინამდვილეში კი ყველაფრის გაკეთება შეიძლება, მთავარია, სამხილი არ დატოვო.

* * *

თამარასთან სექსის მერე არამწევლებიც კი აბოლებენ!

◎ კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პერმოსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 599 36-00-36
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა მაშაკიძე 514 33-33-24